პროლეტარელებო ყველა ძვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 165 (19906) შაბათი, 18 ივლისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ცნობები ორბიტიდან

ფრუნზის მართვის ცენტრი, 17 ივლისი. (საკდესი). დამთავრდა იური რომანენკოს და ალექსანდრე ლავეიკინის კოსმოსური ფრენის ოცდამესამე კვირა.

განვლილი დღეების მანძილზე „მირ“ პილოტირებული კომპლექსის ეკიპაჟმა შეასრულა მთელი რიგი ასტროფიზიკური გამოკვლევები „რენტგენ“ ობსერვატორიისა და „გლაზარ“ ულტრაიისფერი ტელესკოპის დახმარებით, განაგრძო მუშაობა გეოფიზიკასა და ბიოლოგიაში, „პროგრეს-30“ სატვირთო ხომალდზე სამუშაოთა ტრაფიკით მოეწყო სწავლითა და შეანგავით საბაზო ბლოკის გაერთიანებული ძრავის კმაგაწყობა.

დღეისათვის დასახულია ატმოსფეროსგარე ასტრონომიის გამოკვლევათა რამდენიმე სერია, რომლებიც ეწყობა საერთაშორისო პროგრამით „გლაზარ“ ულტრაიისფერი ტელესკოპის საშუალებით.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის

გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია გაიხსნება 1987 წლის 18 ივლისს 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

რეგისტრაცია იწარმოებს 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1987 წლის 18 ივლისს 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ რეალიზაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციული, პოლიტიკური და სამეურნეო ღონისძიებანი. დამტკიცა ორგანიზაციულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება. განისაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვის წესი და ვადები. მოიწონეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული ეკონომიკის მართვის პრაქტიკული გარდაქმნის განხორციელების კომპლექსური გეგმა.

ამ საკითხების განხილვისას პოლიტბიუროს სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ დასახული ამოცანების გადაწყვეტის გზა ეკონომიკის მართვაში ხალხის უფართოესი მასების რეალური მონაწილეობის უზრუნველყოფა, ის, რომ თითოეული მშრომელი გახდეს ნამდვილი მატონ-პატრონი თავის სამუშაო ადგილას, კოლექტივსა და საზოგადოებაში. ამასთან დაკავშირებით ყურადღება დაეთმო სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის დებულებათა ზუსტ პრაქტიკულ შესრულებას.

მოიწონეს ეკონომიკის მართვის სრულყოფის შესახებ დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ გარდაქმნის მიმართულებებს დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ფინანსურ-საკრედიტო მექანიზმის და საქმიანობის სხვა სფეროების დარგში, რომლებიც დაიბეგრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით.

განხილეს პროდუქციის სახელმწიფო მიღების შემდგომი გაფართოების საკითხი. ამ საკითხზე მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში აღინიშნულია, რომ სახელმწიფო მიღების დანერგვა ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. უმჯობესდება შრომის ორგანიზაცია, ძლიერდება ტექნოლოგიური დისციპლინა. მიღებულ ღონისძიებებს აქტიურად დაუჭირეს მხარი მუშათა კლასმა, ქვეყნის ყველა მშრომელმა.

საჭიროდ ცნეს 1988 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო მიღება დამატებით დანერგონ მთელ რიგ საწარმოებში, რომლებიც უშვებენ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო პროდუქციასა და სახალხო მოხმარების საქონელს, სახადგრმეწვის კომპლექსისა და მშენებლობისრის გადამუშავებელი დარგის ქარხნებში, აგრეთვე იმ პროდუქციისათვის საჭირო მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის მიმწოდებელ საწარმოებში, რომელსაც სახელმწიფო მიღება იღებს. ზოგიერთ რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრში გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი სახლებისა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, სოციალურ-კულტურული სფეროს სხვა ობიექტების სახელმწიფო მიღება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა მაღალი ენერგიული ფიზიკაში კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და 2.000 წლამდე პერიოდისათვის მისი განვითარების პროგრამის საკითხი. დასახულია ქვეყნის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში აიგოს უნიკალური ამჩქარებელი კომპლექსები და მთელი რიგი სხვა ექსპერიმენტული დანადგარები, განხორციელდეს საცდელ-ექსპერიმენტული და საწარმოო ბაზის ობიექტების რეკონსტრუქცია, გაფართოება და მშენებლობა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დაეკალათ განახორციელონ ამ სამეცნიერო მიმართულებით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამუშაოების ფართო განვითარების ღონისძიებანი.

განიხილეს ობოლი ბავშვებისა და მშობელთა მეურვეობის გარეშე დარჩენილი ბავშვების აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის ძირეული გაუმჯობესების საკითხი. განისაზღვრა ბავშვის სახლების, სბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებანი. დასახულია ამოცანა, რომ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, საბაზო და საშეფო საწარმოების შრომითი კოლექტივები, ფართო საზოგადოებრიობა მტკიცედ შემობრუნდნენ ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის საარსებო საკითხებისაკენ. აღინიშნა, რომ ეს მუშაობა უნდა ჩაითვალოს უმნიშვნელოვანეს პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმედ. მხარი დაუჭირეს საზოგადოებრიობისწინადადებას შეიქმნას საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდი — საკავშირო მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების მეცადინეობას და ყოველნაირად განავითარებს ბავშვებისადმი სათუთი, მზრუნველი დამოკიდებულების ლენინურ ტრადიციებს.

პოლიტბიუროს განიხილა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ პრეზიდენტთან რ. ფონ ვაიცზეკერთან მ. ს. გორბაჩოვისა და ა. ა. გრომიკოს, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ჰ. დ. გენშერთან ე. ა. შევარდნაძისა და ა. ნ. იაკოვლევის საუბრებისა და მოლაპარაკების შედეგები, რომლებიც გაიმართა საბჭოთა კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეებთან მოსკოვში გამართული საუბრები და შეხვედრები სასარგებლო იყო, მათ შესაძლებლობა მოგვცეს შეგვედარებინა ჩვენი ქვეყნების პოზიციები საერთაშორისო საქმეებში, მთელი ყურადღება გაგვემახვილებინა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების, ევროპის ცენტრში ვითარების კარდინალური გაჯანსაღების, თანამედროვეობის პრობლემების გადაწყვეტისადმი ახალი მიდგომის საჭიროების საკითხებზე.

მთავარი აქტუალური ამოცანა ის არის, რომ ევროპის კონტინენტი გავთავისუფლოთ საშუალო სიშორის ბირთვული იარაღისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტებისაგან. ამასთან დაკავშირებით კვლავ გამოითქვა იმედი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა არ დაუბრკოლებს ამ პროცესს და განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, რათა გაადვილდეს ამ საკითხზე ჟენევაში მორიგებათა მიღწევა.

აღინიშნა, რომ, პოლიტიკური და იდეოლოგიური წინააღმდეგობებისა და სხვადასხვაგვარი სამხედრო-სტრატეგიული ორიენტაციის მიუხედავად, სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუძლიათ იყვნენ პარტნიორები. საბჭოთა მხარე ადასტურებს, რომ მზად არის განავითაროს მტკიცე, კონიუნქტურას დაუქვემდებარებელი ურთიერთობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან როგორც მნიშვნელოვან დასავლეთევროპელ პარტნიორთან იმ გაგებით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაც დაადასტურებს ანალოგიურ მზადყოფნას და მას არაფერი არ დაამძიმებს.

არსებობს იმის ფართო ობიექტური შესაძლებლობანი, რომ სსრ კავშირმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ თანამშრომლონ სრულიად ევროპის სახლის შენებლობაში ევროპის რეალობათა ცნობისა და პატივისცემის, მოსკოვის ხელშეკრულების ზუსტი დაცვისა და მისი შევსების ბაზაზე. ორივე მხარის ერთობლივი მეცადინეობით სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ურთიერთობაში შეიძლება გადაიშალოს ახალი, პროდუქტიული ფურცელი. ეს შეესაბამება როგორც ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, ისე მთელი კონტინენტის ინტერესებს.

განახლდეს ავსტრიაში ნ. ი. რიჟკოვის ვიზიტის, ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერთან ფ. ვრანიცკისთან და სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან მისი მოლაპარაკების შედეგები. აღინიშნა, რომ ამ ვიზიტმა დაადასტურა საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობის ტრადიციულად ნაყოფიერი ხასიათი, ცხადყო ურთიერთდაინტერესება კვლავაც გაეფართოონ ორივე ქვეყნის თანამშრომლობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ დარგებში, კულტურისა და ჰუმანიტარული კავშირურთიერთობის სფეროში.

პოლიტბიუროს მოისმინა ა. თ. ლობრინინის ინფორმაცია 7-9 ივლისს ულან-ბატორში გამართული „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობისათვის, უშიშროებისა და კეთილმეზობლური თანამშრომლობისათვის“ კომუნისტური და რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიების საკონსულტაციო შეხვედრის შედეგების შესახებ, და მოიწონა ამ შეხვედრაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობა. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შეხვედრის მონაწილე მომძე პარტიების მიერ გამოხატულ მისწრაფებას უფრო რეგულარული და მრავალფეროვანი გახადონ მრავალმხრივი კონტაქტები, რათა ერთობლივად ეძებონ აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში მშვიდობის განმტკიცების, დაძაბულობის ლიკვიდაციის, პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების გზები, რითაც უაღრესად არიან დაინტერესებული პლანეტის ამ ვრცელი და ყველაზე დასახლებული რაიონის ხალხები.

მოისმინეს გ. პ. რაზუმოვსკის ინფორმაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების დელეგაციის ვიზიტის შედეგების შესახებ. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების შესაბამისი კომისიების ხელმძღვანელობასთან, ჩინეთის სხვა მოღვაწეებთან შეხვედრები და საუბრები ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაზიარება მიმდინარეობდა ამხანაგური ვითარებაში, იყო საინტერესო და სასარგებლო. დადებითი შეფასება მიეცა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საპარლამენტო კავშირურთიერთობის, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ბაზით კონტაქტების შემდგომი გაფართოების გეგმებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

საკავშირო პარტიული კონფერენციის შესახვედრად

სრულყოფილ პარტორგანიზაციებს მუშაობა ყველა დონეზე, ყველა რგოლში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX საკავშირო კონფერენციის მოწვევის შესახებ. კონფერენცია მუშაობას დაიწყებს 1988 წლის 28 ივნისს მოსკოვში. მის განსახილველად გამოტანილი იქნება შემდეგი საკითხები:

1. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობის, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი ნახევრის ძირითადი შედეგებისა და გარდაქმნის პროცესის გაღრმავებაში პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

2. პარტიისა და საზოგადოების ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

ამ ცნობას დიდი ინტერესით შეხვდნენ კომუნისტები. მათი აზრით, შემოთავაზებული დღის წესრიგი საშუალებას იძლევა შეჯამონ პარტიაში XXVII ყრილობის შემდეგ შეძენილი პოლიტიკური გამოცდილება, შეაფასონ ჩვენი წინსვლა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებით, გააანალიზონ ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის განხორციელების მიმდინარეობა, გარდაქმნაში პარტიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახელმწიფო თუ სამეურნეო ორგანოების მონაწილეობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა კომუნისტებს მოუწოდა კონფერენციისათვის მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე მოემზადონ. მომავალი მუშაობა უნდა სრულდებოდეს პარტიის რიგების შემდგომი შეკავშირების, პარტიისა და ხალხის ერთიანობის განმტკიცების, რევოლუციური საზოგადოებრივი გარდაქმნების გაღრმავების ნიშნით.

განახლებისა და გარდაქმნისათვის გამოზნული ჩვენი დღევანდელი კურსის არსი შეიძლება გამოიხატოს მოკლე ფორმულით: მეტი სოციალიზმი! სოციალიზმის ანგარიშზეა უდიდესი ისტორიული მიღწევები, რომლებითაც ჩვენ ყველანი სამართლიანად ვამაყობთ. და თანამედროვე ეტაპზე ძირითადი ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება სრულად გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ სოციალიზმის უპირატესობანი და შესაძლებლობები, მისი უდიდესი მატერიალური და მორალური პოტენციალი, მისი ძლავრი რევოლუციური მუხტი.

მთავარ გამოცდას კომუნისტები ეკონომიკაში აბარებენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა გადაწყვეტილებების თანახმად, სახალხო მეურნეობის მართვაში ფართო მასშტაბის გარდაქმნათა პროცესი დაიწყო. ხერხოსული პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიულ ორგანიზაციებს. დაწყებული რეფორმა ჩვენი ეკონომიკური შენობის ყველა სართულს მოიცავს. სწორედ ამიტომ უდიდესი, მრავალფეროვანი მუშაობა, რომელიც სახალხო მეურნეობის ყველა დონეზე და ყველა რგოლში სრულდება, ზუსტ პარტიულ-პოლიტიკურ უზრუნველყოფას მოითხოვს.

ამ პირობებში, როცა შრომითს კოლექტივებს ენიჭებათ მეტი დამოუკიდებლობა, როცა სულ უფრო ფართოდ ინერგება თვითმმართველობის პრინციპები, განსაკუთრებით ძლიერდება პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი. მათი რიცხვი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში ახლა დაახლოებით 442 ათასია, საჭიროა, რომ ყოველი პირველადი პარტორგანიზაცია მოკმედებდეს დინამიკურად, შეუპოვრად, მიზანდასახულად, საქმით გვევლინებოდეს შრომითი კოლექტივის ნამდვილ პოლიტიკურ ბირთვად.

პარტია მტკიცედ ილაშქრებს სამეურნეო, სახელმწიფო და ხაზოგადოებრივი ორგანოების შენაცვლების წინააღმდეგ. მისი პოზიცია აქ მკაფიო და გარკვეულია. პარტია ახორციელებს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, განსაზღვრავს განვითარების გენერალურ პერსპექტივას. იგი აფორმულებს მთავარ ამოცანებს სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ სფეროებში, ეწევა კადრების შერჩევა-განწესებას, შესრულების კონტროლსა და შემოწმებას.

ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, რომ პოლიტიკურ მუშაობაში, ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ საქმიანობაში ახალი მიდგომების ათვისება არცთუ ისე ადვილად მიმდინარეობს. ზოგი საჭიროებას ვერ ეწყობა, ზოგს კრიტიკა და პირსის გამოსვლები არ მოსწონს, ზოგს საერთოდ ჭკონია, თითქოს ჭეშმარიტების მაკრობელი იყოს. ეს ყველაზე ხშირად იმით ახასიათებთ, ვისაც ეშინია ხალხის საჯარო კონტროლისა. დემოკრატია ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს — ცხადი ხდება, ვინ ვინ არის და ვის რა შეუძლია. რა თქმა უნდა, ამასთან უნდა ვეცადოთ არ დაუშვათ გადახრები, ვებრძოლოთ იმის ცდებს, რომ საჭიროობის ვითარება გამოიყენონ არა გარდაქმნის ინტერესებისათვის, არამედ საკუთარი ვიწროაზროვანი მიზნების მიღწევისათვის.

არის რა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვი, პარტია მოწოდებულია თვითონ იძლეოდეს ნამდვილი დემოკრატიზმის მაგალითს. ამის გათვალისწინებით, XXVII ყრილობამ აღნიშნა, რომ ყველა პარტორგანიზაციაში უნდა შეიქმნას ჯანსაღი, საქმიანი ატმოსფერო, რომელსაც ახასიათებს გულახდილობა, საჯაროობა, რომელიც გამსჭვალულია ჭეშმარიტი პარტიული ამხანაგობის სულისკვეთებით, დიდი პასუხისმგებლობით და კომუნისტების ურთიერთმომთხოვნელობით.

ბევრ პარტიულ კოლექტივში გაბედულად დაადგნენ თავიანთი ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირების შემდგომი დემოკრატიზაციის გზას. სულ უფრო ფართოდ ვრცელდება რამდენიმე კანდიდატურის დასახელების პირობებში რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნების ფარული კენჭისყრით არჩევის პრაქტიკა. მუშაობაში კოლეგიტურობის პრინციპის უფრო თანამიმდევრული განხორციელების მიზნით, იზრდება კოლეგიური ხელმძღვანელობის ორგანოების როლი. საქმიანად, დარბაისლურად, გულახდილი განხილვის ატმოსფეროში ეწყობა დღეს პლენუმებისა და ბიუროთა სხდომების, პარტიული კრებების უმრავლესობა. უფრო მწვავე გახდა რეაქცია კრიტიკის ჩახშობის ფაქტებზე. დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ საბოლოდ გაყწმინდოთ შიდაპარტიული ცხოვრება ფორმალიზმის გამოვლინებების, ბიუროკრატული დამახინჯებების, ყოველივე იმისაგან, რაც ეწინააღმდეგება ლენინურ ნორმებსა და პრინციპებს, ჩვენი პარტიის დემოკრატიულ ბუნებას.

ხელმძღვანელობენ რა ყრილობის მითითებებით, პარტორგანიზაციები აძლიერებენ მომკითხველობას პარტიელის წმინდა და სპეტაკი სახისათვის. კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერება განაყოფიერა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიღების პრაქტიკის სრულყოფისაგან. აქ საჭიროა ვიჩქროთ კიდევ უფრო მეტ მომთხოვნელობას, რათა ხაიმედოდ დავიცვათ პარტია შემთხვევითი ადამიანებისა და იმითაც, ვინც ძახში კარიერისტული ან სხვა ანგარებითი მიზნებით შედის.

ივნისის პლენუმზე ითქვა, რომ ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის გადამწყვეტი ეტაპი გახდება მეცამეტე ხუთწლედი. მაგრამ, როცა ყოველმხრივ ეზრუნავთ პერსპექტივისათვის, ერთი წუთითაც კი არ უნდა გამოგვრჩეს ხადღესი ამოცანებიც. ყოველი პარტორგანიზაციის ხაარსებო კალია, უთუოდ უზრუნველყოს მიმდინარე წლის დავალებების შესრულება. უკვე ახლა მიაღწიოს შესამჩნევ ძვრებს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, მოახმაროს ამას დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

ჩვენი რევოლუციის სახელოვანი თარიღი აღნიშნავს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მიჯნას, რომელისთვისაც დღეს მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება. მთავარი, რითაც ჩვენ მოწოდებულნი ვართ აღვნიშნოთ ოქტომბრის წლისთავი, ის არის, რომ გაძლიერდეს შრომა, მაქსიმალური გახდეს ყოველი კოლექტივის შემოქმედებითი უკუგება. დაძლიეს რა წლის პირველ თვეებში დაშვებული ხერხოსული ჩამორჩენა, მრეწველობის მშრომელებმა შეძლეს ივნისის დამლევისათვის წარმოების მოცულობა 3,5 პროცენტით გაეზარდათ გახული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, იქნება ეს სახელშეკრულებო მიწოდებების გაუმჯობესება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, თუ პროდუქციის განახლება. დაგვიანებით დაიწყო მკა მინდვრებში. აქ საჭიროა უაღრესი ხიზუტტე და ორგანიზებულობა. მეტ გარჯას მოითხოვს სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, მეტადრე ბინების დროული ჩაბარება.

წლის წარმატებული დასრულება უპირველესი რიგის პარტიული ამოცანაა. სწორედ აქ ვლინდება დღეს მთლიანად ქომუნისტის ავანგარდული როლი, სადაც უნდა შრომობდეს და რა ხელმიხაც გინდა იყოს. საპატიო წოდება მას ავალებს იყოს მოწინავე და სხვებს მიუძღვებოდეს.

მომავალი XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია პარტიისა და ქვეყნის ცხოვრების უდიდესი მოვლენა იქნება. კომუნისტებისათვის იგი არსებითად გახდება პოლიტიკური გამოცდა ჩვენი ზრუნვის ძირითად საგანში — გარდაქმნაში. ჩვენ ყველა პრაქტიკულ საქმეს ისე უნდა გავუძღვეთ, რომ ეს გამოცდა ღირსეულად ჩავაბაროთ, მივიტანოთ კონფერენციაზე კარგი გამოცდილება, რეალური შედეგები, გამოვიტანოთ ხამომავლო დასკვნები.

„პრავდის“ 17 ივლისის მოწინავე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მუშაობის დღის წესრიგი და წესი განიხილეს და მოიწონეს 17 ივლისს გამართულ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე. სესია განიხილავს პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის განვითარების, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხს, ეკამტაცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს.

სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგები. მიღებულ დადგენილებაში კონკრეტული დავალებანი მიეცათ ახალი მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. მათ განუხრელად უნდა იხელმძღვანელონ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებული დადგენილებებით და თანამიმდევრულად განახორციელონ სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნისათვის გამიზნული პარტიის კურსი თავიანთ ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის უზრუნველყოფის მიზნით.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უნდა გაიუმჯობესონ არჩევითი საბჭოთა კადრების სწავლება, აქტიურად შეუწყონ ხელი მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების და საგუშაგოების, თითეული დეპუტატის საქმიანობის შემდგომ სრულყოფას, უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადონ დეპუტატთა ფორმირებების მუშაობაში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ყოველგვარ გამოვლინებებს. უნდა მივაღწიოთ, ხაზგასმულია დადგენილებაში, რომ დეპუტატები მოლიანად იყენებდნენ „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას. აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე უნდა განიხილავდნენ საარჩევნო კამპანიის დროს მიღებულ ამომრჩეველთა შენიშვნებსა და წინადადებებს, ფართოდ ამამდნენ მათს რეალიზაციაში დეპუტატთა ფორმირებებს, შრომითს კოლექტივებს, საზოგადოებრიობას, ახორციელებდნენ მოქალაქეთა კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების კონკრეტულ ღონისძიებებს.

მოსახლეობას, შორის მართლმსაჯულების, პროფილაქტიკურ-გამარტებითი მუშაობის განხორციელების საქმეში რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა აქტიურობის გაღიდების შესახებ შესაბამისი დავალებანი მიეცა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს.

შემდეგ სხდომის მონაწილეებმა განიხილეს საკითხი, თუ როგორ მუშაობენ ბოლნისისა და ჩხოროწყუს სახალხო დეპუტატთა რაონული საბჭოების აღმასკომები „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ ერთი წლის წინათ მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესასრულებლად. აღინშნა რა პოზიტიური ძვრები ამ საქმეში, პრეზიდიუმმა ხაზი გაუსვა, რომ ისინი ჯერ კიდევ მოლიანად არ შეესაბამება დროის სულისკვეთებას. ნელა გარდაიქმნება მუშაობა დეპუტატთა ფორმირებებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ხშირად ისინი მოქმედებენ სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მომსახურების სფეროს ობიექტების წინაშე დასახული კონკრეტული ამოცანებისაგან მოწყვეტით. მოგვარებული არ არის მათი კავშირი შრომის კოლექტივებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სამართალდაცვის ორგანოებთან, კვლავ არის ფორმალიზმისა და დუბლირების, არაორგანიზებულობისა და ინერტულობის გამოვლინებანი.

ორივე რაიონის ადგილობრივი საბჭოები საკმარისად არ რაზმავენ დეპუტატთა ჯგუფებსა და საგუშაგოებს იმისათვის, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის უზრუნველყოფაში, საწარმოო დავალებათა შესრულებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, რესურსების მომჭირნე ხარჯვაში, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში, სუსტად იყენებენ ისინი ძოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების შესაძლებლობებსაც სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფაში, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, მუქთახორობისა და მექრთამეობის, სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში. უფრო მეტიც, ბევრი ამხანაგური სასამართლო და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეული უმოქმედოდ არის, რის გამოც ოპერატიული ვითარება რაიონებში არ უმჯობესდება.

ბოლნისისა და ჩხოროწყუს სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალათ განახორციელონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ქმედითი ღონისძიებანი. მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ისინი ბეჯითად უნდა აუმჯობესებდნენ დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკას, იღვწოდნენ მათს მუშაობაში საჯაროობის გაფართოების, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების განვითარებისათვის და ამ საფუძველზე უზრუნველყოფდნენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, თვისებრივ გარდაქმნებს რაიონების ცხოვრების ყველა სფეროში.

პრეზიდიუმმა განიხილა კანონმდებლობის პრომაგანდისა და სამართლებრივი აღზრდისათვის ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის მუშაობა, მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთაგან თითოეულის გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

(საქინფორმი).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ

საბჭოთა მთავრობის მოწვეევით 17 ივლისს მოსკოვში მეგობრულ სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კაროი გროსი.

ენუკოვოს აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚ

გარდაქმნის წახნაგი და შედეგი

ელმავალშენებელთა აზრით

როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა თბილისის „ელმავალშენებლის“ საწარმოო გაერთიანების მეთაურ ქარხანაში, როგორ არიან აქაური მშრომელები განწყობილი? ბევრ მათგანს ამ მხრივ თავისი შეხედულება აქვს, თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ ამის თაობაზე საკუთარი აზრი. არსებითად კი უმეტესობას სწამს გარდაქმნის აუცილებლობა, მისი სიკეთე, კარგად ხედავენ იმ სიახლეებს, რომლებიც გზას იკაფავენ. რა უშლის ხელს ახლებურად მუშაობას?

ამ საკითხზე პირველად № 3 აპარატურის საამქროს მშრომელებს ვესაუბრეთ:

ბადრი ლომიძე — ამწყობი ზეინკალი, კომუნისტი, მუშაობის სტაჟი — 32 წელი:

— გარდაქმნის მიმდინარეობა ჩვენთან უდავოდ იგრძნობა. გაუმჯობესდა მუშაობის ხარისხი, დისციპლინაც განმტკიცდა. ჩვენი კომპლექსური ბრიგადა წინათაც გულმოდგინედ მუშაობდა. გარდაქმნა ძარტო შრომის ტემპის მატებას არ ნიშნავს. ეს, ჩემი აზრით, ის არის, რომ გამოვაღმოჩინოთ ნაკლოვანებანი, რომლებსაც ვჩქმალავდით. გარდაქმნის ტემპის დაჩქარებას აყოვნებს ის, რომ წარმოება არ იყო მომზადებული ახლებური მუშაობისთვის. ახლა საქმეს საგრძნობლად დაეტყო წინსვლა.

ალექსანდრე ბიჭიკაშვილი — ამწყობი ზეინკალი, მუშაობის სტაჟი 27 წელი:

— როგორ მესმის გარდაქმნა? ისე კარ უნდა იყოს როგორც წინათ, უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება შრომისადმი და ყველაფრისადმი. ჩვენ მუშაობა არ გვეზარება. მხოლოდ ეს არის, ზშირად ხარისხზო დეტალებს გვაწვდიან და ხარისხიანს გეთხოვენ. მოვახსენეთ კიდეც ეს ამხ. ი. კ. ლიგაჩოვს, როდესაც გვეწვია. აი, დისციპლინა კი მართლაც საგრძნობლად განმტკიცდა. კიდევ ის, რომ ჩვენი ახალი საამქროს უფროსი ავთანდილ მეტონიძე ჩვენივე მოთხოვნით დანიშნეს. გარდაქმნის პროცესს დაჩქარებულ მსვლელობას აფერხებს ჩვენივე უინიციატივობა და გულგრილობა, რასაც დროთა განმავლობაში შევეჩვიეთ. მთავარია, რომ ყველამ გაიგოს, შეიგნოს, რა არის გარდატეხა, დაიჯეროს, რომ გარდაქმნა შრომელი ხალხისთვისაა და თუ ჩვენ აქტიური მონაწილეობა არ მივიღეთ, არაფერი გამოვა.

მარიკა თამაზაშვილი — კომუნისტი, ამწყობ ზეინკალთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრი:

— გულახდილი უნდა ვიყო, ჩვენს სამქროში ძალიან ცოტა რამ შეიცვალა. მართალია, დისციპლინის განმტკიცებისათვის მიზანმიმართულმა მოქმედებამ, პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლამ გააუმჯობესა საერთო მდგომარეობა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. თუმცა მესმის, რომ დიდი მასშტაბის ამოცანები ასე მოკლე ხანში ვერ გადაწყდება. ვიცი, რომ დროა საჭირო, მაგრამ გაჭიანურებაც არ შეიძლება. ჩემი აზრით, გარდაქმნას დიდ საშიშროებას უქმნის ზედმეტი, გაუთავებელი ლაპარაკი, საჭირო კია საქმე.

ვარდენ ქურდაძე — ოსტატი, სამამულო ომის მონაწილე, პენსიონერი:

— მჯერა თუ არა გარდაქმნის? როგორ არა! ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ძველები უთუოდ გავამართლებთ, ახლებიც არ ჩამოგვრჩებიან. ასე რომ არ იყოს, რა აზრი ექნება ძველი თაობის მონდომებას?

ი ახალგაზრდაც — **მერაბ დანელია** — მწნეხავი, კომუნისტი:

— რასაკვირველია, ბევრი რამ შეიცვალა. ჯერ ერთი, პასუხისმგებლობა გაძლიერდა. წინათ ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა სისტემატური ხასიათისა იყო, ახლა მსგავსი რამ საგანგებო შემთხვევად არის მიჩნეული. მართალია, ჯერ კიდევ არა გვაქვს მძლავრი ტექნიკური ბაზა, მაგრამ ამასაც მივაღწევთ. ფაქტია, რომ ყველაფერი ერთიანად არ მოგვარდება. შეჩვეული ვიყავით, რომ არ გვთხოვდნენ, თვალს ვხუჭავდით ბევრ რამეზე. ახლა ასე ვეღარ გავაგრძელებთ. მე ღრმად მწამს, რომ ეს საკითხები მოგვარდება.

ანასტასია ანდრიუკი — უპარტიო, მუშაობის საერთო სტაჟი — 34 წელი:

— კეთილსინდისიერად მუშაობაა საჭირო, თუმცა გარდაქმნა მარტო წარმოებას არ ეხება. მან, როგორც მე მესმის, ცხოვრების ყველა მხარე უნდა მოიცვას. სეტყემბერში 25 წელი გამიხდება, რაც ამ ქარხანაში ვმუშაობ. ორი წლის წინათ შემპირდნენ შრომის ვეტერანის წოდებას, დაიწერა დახასიათება, მაგრამ, დღემდე არაფერი ისმის. დავრბივარ აქეთ-იქით, მივალ კადრების განყოფილებაში, იქიდან პროფკავშირის კომიტეტში გამგზავნინ, პროფკომიდან სხვაგან, და ასე გაუთავებლად. ეს ელემენტარული ბიუროკრატიზმია. ბიუროკრატიზმის სენი კი გარდაქმნის ერთ-ერთი ყველაზე საშიში მტერია.

ამასობაში შესვენების დროც მოვიდა. № 8 ჩამოსასხმელი საამქროს მუშები დიდი ხის ჩრდილში სკამზე ჩამომსხდარიყვნენ.

სერგო მიგრიაული — მეყალიბე:

— გარდაქმნა ყოვლისმომცველია. უნდა გარდაიქმნას მუშაც და ხელმძღვანელიც. გადამწყვეტი რგოლი მაინც ეკონომიკაა, — ყველაზე მეტი ყურადღება ამ სფეროს უნდა მიექცეს. პირადად მე უკვე მეშვიდე წელია, არათუ გაცდენა, დაგვიანებაც არა მქონია. დანადგართა მოცდენები? — იცოცხლე! ხარისხზე ახლა მთელი ამბავია, და მეყალიბეებს მაინც ნიჩბები გვიჭირავს ხელში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს დროში ურმით იჩანჩალოს კაცმა. ამ ქარხანაში 22 წლის წინათ მოვედი და მის შემდეგ ჩემთვის არაფერი შეცვლილა, როგორც დავიწყე, ისე ვმუშაობ. ახლა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ საამქროს აშენებენ. მართალია, მშენებლობა გაჭიანურდა, მაგრამ ამბობენ 1988 წლის დამლევისათვის დამთავრდებაო, ვნახოთ! მე მწამს, რომ გარდაქმნა ბევრ რამეს შეცვლის.

ფერადი ჩამოსხმის უბნის ამწყობ ზეინკალს კომუნისტ **გენადი ვანიუკოვს** საამქროში შევყავარ და მიჩვენებს მწვანედ შეღებილ ჩარხებს. ყველი ჩარხს თავისი საგარანტიო ასაკი აქვს, — მეუბნება იგი, — საშუალოდ 10 წელი, ჰიდრავლიკური ჩარხები, რომლებიც წყლით მუშაობენ, გაცილებით მალე ცვდება. ეს ჩარხი კი თითქმის ჩემი ტოლია (გენადი ვანიუკოვი 48 წლისაა), 30 წელია მუშაობს, აჭ რომ მოიტანეს, უკვე კაი ხნის ნახმარი იყო. რომელ ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩარხის მიერ შესასრულებელ ზოგიერთ ოპერაციას ადამიანი ასრულებს. უნდა დაჩქარდეს მთლიანად საწარმოს და, კერძოდ, ჩვენი საამქროს განახლება. ტექნიკა რომ მოგვცა, მთებს გადავაბრუნებთ. ახლა კი ერთ დღეს ვიმუშავებთ და 2-3 დღეს ვარემონტებთ. ყოველდღე 8-9 საათზე მივდივარ შინ. ვიცი, რომ ეს საწარმოო დისციპლინის დარღვევაა, მაგრამ გეგმასაც ხომ შესრულება უნდა?

ხედავთ ამ მწვანედ შეღებილ ჩარხებს, ახლებს რომ ჰგვანან? ამ ცოტა ხნის წინ შეღებეს, მოსკოვიდან ერთ-ერთ ხელმძღვანელ ამხანაგს ელოდებოდნენ და იმის თვალის ასახვევად გააკეთეს. მერე და რა, განა შეიძლება ფორმამ შინაარსი შეცვალოს? ცხადია, არა, ამით ჩარხების მუშაობა ოდნავაც არ გაუმჯობესებულა. გარდაქმნაზე ლაპარაკობთ და ასეთი რამ კი ხდება. ალბათ, მოჩვენებითობასთანაც“ მოგვწევს უკომპრომისო ბრძოლა, თუ გვსურს მართლა რაღაცას მივაღწიოთ.

ოთარ ნიკოლეიშვილი — № 1 საამწყობო საამქროს ინჟინერ-ტექნოლოგი, კომკავშირელი:

— გარდაქმნა პირადად მე ასე მესმის: თავისი მოვალეობა ყველამ სინდისიერად უნდა შეასრულოს, ჩვენ-ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ მაღალ დონეზე; გარდა ამისა, ბოლომდე უნდა გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ რეზერვები. ჩვენს საამქროში სიახლე მართლაც იგრძნობა. გამოვცოცხლდით, ამ დღეებში მონტაჟის ახალი მეთოდი ავითვისეთ და მის სრულყოფაზე ვმუშაობთ. ხვალზეგ ახალ მუშებსაც მივიღებთ, ახალ ბრიგადას შევქმნით. მეტია მომთხოვნელობა, ხარისხი შესამჩნევად გაუჯობესდა, დისციპლინაც განმტკიცდა. მჯერა, რომ გარდაქმნა თავის მიზანს მიაღწევს.

ასე ფიქრობენ და მსჯელობენ ელმავალსაშენებელი ქარხნის მშრომელები. მათი აზრი, მათი განწყობა უშუალოდ გამოხატავს ჩვენი საზოგადოების სულისკვეთებასაც, რადგანაც, როგორც ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობაზე, საბოლოოდ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ გვიშლება ახლებურად მუშაობა: „როგორც წაუვათ საქმე შრომით კოლექტივებს, ისე წაუვა იგი მთელ საზოგადოებასაც... თუ შევძლებთ დიდნაყოფიერი შრომის ორგანიზებას, უზრუნველვყოფთ პროდუქციის კარგ ხარისხს, მაშინ ქვეყნის მთელი ეკონომიკაც განვითარდება; თუ კოლექტივში წესრიგი და ორგანიზებულობა იქნა, მთელ საზოგადოებაშიც იქნება წესრიგი და ორგანიზებულობა... თუ ჩვენ ყველანი ერთად ვისწავლით კოლექტივში ნორმალური ადამიანური ურთიერთობის დამყარებას, თუ გავაჯანსაღებთ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, ასეთივე ჯანსაღი იქნება მთელი საზოგადოებრივი ატმოსფერო ქვეყანაში“.

ნ. ლურსმანაშვილი.

სტარტეგისათვის მზად ვართ!

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტსმენები იცხოვრებენ, მოგვარებულია სამახსოვრო სუვენირების წარმოება, სადღესასწაულო ორთვება სტადიონები და ქუჩები.

თითოეულ გუნდს ეყოლება შეფები — შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, მათ სტუმრებისათვის მოამზადეს მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა საქართველოში გატარებული დღეები დიდხანს დაახსომდეთ ნორჩ სპორტსმენებს.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს იმედი, რომ სპარტაკიადა გაიმართება მაღალ ორგანიზაციულ დონეზე და ჩვენი სპორტის ნამდვილი დღესასწაული — რეზერვების დათვალიერება გახდება.

შეხვედრის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

(საქინფორმი).

ელმავალშენებელთა აზრით

თბილისი და წვიმა ალარ არის, ქუჩებს მტვერი ასდის. მაგრამ ცეკავშირის ცხინვალის საკონსერვო ქარხანაში მისვლა ჭირს. საბარგო მანქანა, „ნივა“, ან რეზინისყელიანი ჩექმები თუ არა გაქვთ, იქით პირს ნუ იზამთ. ეს გზა მარტო მეკონსერვეებს როდი ემსახურება, მისით სარგებლობენ აქეთ მდებარე მთელი რიგი სოლოდური ორგანიზაციები. ისინი ძირითადად მშენებლები არიან. სოფიარია სამხრეთ ოსეთის კომუნალური მეურნეობის სარემონტო-სამშენებლო უბნის, საქართველოს აგრომრეწვის № 3 სამშენებლო ტრესტის № 24 მოძრავ-მექანიზებული კოლონის, სამხრეთ ოსეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს, ჩორდმშენის, ცხინვალკაპრობის ხელმძღვანელთა გულცივობა და ინერტულობა, რატომ შეჰყურებენ მაინცდამაინც საქალაქო საბჭოს აღმასკომს? საამისოდ თანხები თავადაც აქვთ, ტექნიკა და საშენი მასალებიც ხომ მათს ხელშია. ეს რა უდარდელობის სენი შეჰყრიათ?! უგზოობით განა ისევ თვითონ არ ეუხდებიან?

ბვგეგონა, ქარხნის ეზო გამოაკეთებდა განწყობას, მაგრამ, ნურას უკაცრავად, მან გული უფრო გვატკინა. შესასვლელთან იწყება დაუმთავრებელი რეკონსტრუქციის „სიკეთე“; დიდწონიან ავტომობილებს თბილისს, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციისათვის გათხრილი მიწაყრილები აუთქვეფია და ლაფში ცურავს მთელი ტერიტორია. გაწვიმდება თუ არა, წუმპე საკონსერვო საამქროს კარებს აწვება.

— რა ვქნათ, ხელი ვერ შეგვიწყვეს, რეკონსტრუქცია ვერ დაგამთავრეთ, — ბოდიშს იხდის ქარხნის დირექტორი ი. ბესტაევი.

— ამას წინათ ქალაქის პარტიულ ხელმძღვანელებს თქვენ დაჰპირდით, რომ წლევანდელ სეზონს მომზადებული შეხვდებოდით. ქარხნის რეკონსტრუქცია კი, ეტყობა, წელსაც ვერ დამთავრდება, — ვუთხარი დირექტორს.

მან თავი უხერხულად იგრძნო და წარუმატებლობა მშენებელთა უგერგილობით ახსნა. ეს იყო გაუბედავი საყვედური ცეკავშირის ხელმძღვანელობის მიმართ. კაცმა რომ თქვას, სწორედ მათი უყურადღებობის თუ გულგრილობის ბრალია, საწარმო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში რომ არის, და საქმის გამოსწორება წლების მანძილზე ვერ ხერხდება. საკონსერვო წარმოება წამგებიანი ეზი ყოფილ?! დირექტორების შეცვლით საქმე არ სწორდება.

— ამ ორი წლის წინათ დირექტორად რომ მგზავნიდნენ, დახმარება აღმითქვეს, მაგრამ ეს დაპირებად დარჩა, — გვეუბნება ახლანდელი დირექტორი. — მე, რაც შემეძლო, დავტრიალდი. უპირველესად ვიზრუნე 1982-1983 წლების ნაშთის ლიკვიდაციისათვის: გავასაღეთ მილიონ 200 ათასი პირობითი ქილა კონსერვი. საგონებელში ჩაგვაგდო 500 ტონა ღვინომ, რომელიც „გაუქმებული ღვინის საამქროს ნაშთად დარჩა ქარხანას. ახლა ვის უნდა ხილის ღვინო? იძულებული გავხდით, გადასამუშავებლად მარნელში გაგვეგზავნა. იქიდან სპირტად დავიბრუნდა. მისი თვითღირებულება ბევრად მეტია სარეალიზაციო ფასზე. რას ვიზამთ, ქარხანამ 38 ათასი მანეთი იზარალა.

გასული წელი კი 78 ათასი მანეთის წაგებით დაასრულეს. ზარალით დამთავრდა მეთერმეტე ხუთწლედიც. აქ გეგმების შეუსრულებლობა ქრონიკულ სენად ექცათ. შარშან უნდა გადაემუშავებინათ 1.000 ტონა თესლოვანი ხილი, გადაამუშავეს 779 ტონა. კურკოვანი ხილი კი დაგეგმილი 1200 ტონიდან 457 ტონა გადაამუშავეს. არადა, როგორ გაიზარდა მომხმარებელთა მოთხოვნა ხილის ნატურალურ წვენებზე, კომპოტებზე!.. ცხინვალელმა მეკონსერვეებმა სანახევროდაც ვერ შეასრულეს პროდუქციის ასორტიმენტის გამოშვების დავალება, რომელიც 21 სახეობის ნაწარმს ითვალისწინებდა. ჩამორჩენა იმის ბრალიც არის, რომ დამამზადებელ ორგანიზაციებს რეგულარულად არ მოჰქონდათ ხილი. მათ ზოგიერთი ნედლეულის მიწოდების გეგმა მთლიანად ჩაშალეს. ასე, მაგალითად, შარშან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საოლქო გაერთიანებას უნდა შეეზიდა 300 ტონა პამიდორი, მაგრამ მხოლოდ 11 ტონა მიიტანა, ტომატის დამამზადებელი ბაზი კი უქმად იყო. გათვალისწინებული 59 ტონა შინდიდანაც არც ერთი კილოგრამი არ მიუტანიათ. და კიდევ ერთი უხერხულობა შეექმნათ: ქარხნის მთავარი ინჟინრის გ. კალანდაძის თაოსნობით ცეკავშირის კვების მრეწველობის სამმართველომ ცხინვალელ მეკონსერვეებს დაუგეგმა საკონდიტრო მრეწველობისათვის 200 ტონა შიმფერადებლების გამოშვება. ხაზი გამზადდა, ნედლეულის მისაღებადაც მზად იყვნენ, მაგრამ ამ პროდუქციის გამოსაშვებად საჭირო 31 ტონა ლიმონმჟავა არ გამოყვეს. ასე დაიკლდათ კიდევ ერთი ასორტიმენტი, საერთო პროდუქციის გამოშვებაში კი 445 ათასი მანეთი.

როგორ მიმდინარეობს ქარხნის რეკონსტრუქცია? როგორ და, — კუს ნაბიჯით. რასაც აკეთებენ, ისიც უხარისხოა. როგორც იქნა, დაასრულეს ათი ტონის ტევადობის ორი საქვაბის დამონტაჟება. დაიდგა 400 ტონა ტევადობის რეზერვუარი მაზუთისათვის. მაგრამ რა, არ მუშაობს მისი სატუმბი აგრეგატი. იძულებულები არიან ისევ ძველი ორთქლის ქვაბით იმუშაონ. მეკონსერვეები განსაკუთრებით გაწამებულნი არიან უწყლობით. შარშან ერთი დღეც კი არ ყოფილა, რომ შეუფერხებლივ ემუშაოთ, ხან საწვავ-სათბობი არ ჰქონდათ, ხან ორთქლი და ხან წყალი. წელსაც უკეთესობას პირი არ უჩანს, არადა, ხილ-კენკრის გადამუშავების სეზონი დაიწყო. ქარხნის ეზო ისევ სამშენებლო პოლიგონსა ჰგავს. მშენებლობა სიკეთის ნიშანია, ხალისის მომტანია, მათ კი წამეიან გადაექცათ. 1985 წელს დაწყებული ქარხნის რეკონსტრუქცია, რომლის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია რამდენჯერმე შეიცვალა, დღემდე არ არის დამთავრებული, ხან მილები არა აქვთ, ხან საშენი მასალები. დიდძალი სახსრები იხარჯება, საქმე კი ზოგჯერ ხელახლა შესასრულებელი ხდება. მაგალითად, ქარხანას არ ჰქონდა მაცივარი, როგორც იქნა, დაიდგა 400 ტონა ტევადობისა, მაგრამ რად გინდა, — არ იმუშავა. ახლა შემოიტანეს მისი სათადარიგო ნაწილები და მოწყობილობა, ხელმეორედ მონტაჟდება. ასევე უხარისხოდ გაიყვანეს კანალიზაციის ქსელი. საჭიროა მისი ხელახალი გაწყობა. თითქმის წელიწადი გავიდა, რაც მიწაყვანილობის ტრასა ამოთხარეს, იგი წყლითა და მიწით ივსება, ხელმეორედ განსაკეთებელი ხდება, მშენებლობის დამთავრებას არ დაადგა საშველი, ქარხანას კი უჭირს. დაბალია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დონე. წლითიწლობით უარესდება ეკონომიკური მაჩვენებელი. ვერ ვიტყვით, რომ ეს გარემოება არ აწუხებდეს ქარხნის ხელმძღვანელობას. გამოსავალს იმაში ხედავენ, რომ ვითარებას ატყობინებენ

◆ გაჭიანურებული რეკონსტრუქცია ◆ ზერელე ხელმძღვანელობა და ჩაშლილი გეგმები ◆ გარდაქმნას ფეხი ვერ აუწყვეს

სხვისი ეოიმეედოოზით

მიმართავენ ცეკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, ოლქკომებს, ავტონომიურ რესპუბლიკებს, ეროვნულ ოლქებს, ავტონომიურ ოლქებს, ოლქ-ოლქ, ოლქ-ოლქ, ოლქ-ოლქ

საჭიროა თუ არა საულელცეხილო მაგისტრალი?

„...ჩვენს მხარეს სასიამოვნოდ დარჩა აქ მოსული ხმა, რომ რენინგზის გაყვანას აპირობს მთავრობა ფშავ-ხევსურეთზე კავკავამდეო“.

ვაშა.

ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის ოპონენტთაგან საქართველოსთვის ავის მოსურნე რომ ერთი ადამიანიც არ არის, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ისიც დანამდვილებით ვიცი, რომ არც ამ დიდი საქმის მომხრეთაგან სცოდავს რომელიმე საკუთარი სინდისის წინაშე. პრობლემა რთული და მეტისმეტად მნიშვნელოვანია. არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებები, მიმდინარეობს კამათი, მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმისათვის ერთმანეთს ნუ გავუჯავრდებით და, მით უმეტეს, ნურც შეურაცხყოფას მივაყენებთ. ასეთი მაგალითები იყო. როგორც ჩანს, ზოგიერთ მოკამათეს დაავიწყდა ერთი უბრალო ჭეშმარიტება: სიერო საქმე წმიდა საქმეა და ამ სარბიელზე ჭუჭყიანი ხერხების გამოყენება დაუშვებელია. მეტიც, მამულიშვილი ის კაცია, ვინც ნებაყოფლობით კისრულობს თავისი სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე პასუხისმგებლობას, ვინც რაიმე საქმესა და თუ წამოწყებას იმით კი არ აფასებს, თუ სახელდობრ როდინდელი და ვისია იდეა? არამედ იმით, თუ მისი ხალხისთვის ეს საქმე ან წამოწყება რას მოიტანს. ეს არის დამოკიდებულება, რომელმაც თვალსაზრისი უნდა ჩამოაყალიბოს.

კამათს არც მომხრეებთან ვაპირებთ, არც მოწინააღმდეგეებთან. მსურს საკუთარი თვალსაზრისი გამოვთქვა საკითხზე: **საჭიროა თუ არა ქართველი ერის, საქართველოს აწმყოსა და მომავლისთვის ტრანსკავკასიის რკინიგზის მაგისტრალი.**

ვთვლი, რომ არა მარტო საჭიროა, არამედ განგების მიერ ბოძებული დიდი სიკეთეც კია. ამ ბასკუნამდე ყველა (ან, ალბათ, ყველა) იმ მონაცემის ანალიზმა მიმიყვანა, რაც მსმენია, წამიკითხავს ან თავად მომსვლია აზრად. უპირველეს ყოვლისა რკინიგზის გაყვანით მოტანილ შესაძლო ზიანს შევეხები.

ეკოლოგიური ფონასწორობის დარღვევის საფრთხე

პაერი. ელექტროწევაზე დამყარებული სარკინიგზო ტრანსპორტი „ეკოლოგიურად სუფთაა“, პაერზე პრაქტიკულად უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს. პაერის „ეფექტიანე“ ჭუჭყიანება რამდენადმე გაიზრდება ენინალბარისახოს საავტომობილო გზის რეკონსტრუქციისა და თვით ბარისახოს ათას ოჯახიან დასახლებად ქცევის შემდეგ, მაგრამ ამ მონაკვეთზე არსებული ტყის მასივები იმდენად დიდია, რომ გამონაბოლქვი აირების ნეიტრალიზება უმტკივნეულოდ მოხდება. მეორნა, რომ პაერის გაჭუჭყიანების სხვა არსებითი წყაროები რკინიგზის ექსპლოატაციის შედეგად არ წარმოიქმნება.

ნიადაგი. სამოდამოდ დაკარგულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად კერძოდ ის ზოლი უნდა ჩაითვალოს, რაზეც რკინიგზა ამენდება. ეს არის თვით ლიანდაგი და გარდი-გარდმო მიმდებარე ზოლები. მთლიანად ტრასას, ანუ ქსნიდან არხოტის გვირაბში შესასვლელამდე 619 ჰექტარი მიწა მიაქვს. აქედან სახნავი — 100,8 (მუხრანის ველზე 60 ჰექტარი, ანუ მთელი ველის 0,1 პროცენტი), ხილის ბაღები — 18,3, სათიბ-საბალახო — 52,0 ჰექტარი. ვივარაუდოთ, რომ სამენებელო სამუშაოები უფრო მეტ ფართობს მოითხოვენ, დაახლოებით 1,5-2-ჯერ მეტს, ვიდრე თვით უკვე აშენებული რკინიგზა დაიჭერს, მაგრამ ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ ურუშაძე ბრძანებს: „პრაქტიკა და თეორია მოწმობს, რომ სათანადო გამოკვლევების საფუძველზე შესაძლებელია ისეთი ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანენ ნიადაგური საფარის დაზიანებას“. („ლიტ. საქართველო“. 12 ივნისი, 1987. „ტყეები მაგისტრალის გასწვრივ“). ჩემი მხრივ დავძენ, კინოსტუდიანი „მემატიანეს“ ამ თემაზე რამოდენიმე ფილმი აქვს გადაღებული, ვითარებას საკმაოდ კარგად ვიცნობ და ბატონ თენგიზ ურუშაძეს დავემოწმები: ხსენებული პრაქტიკა საქართველოს ტერიტორიაზე კანონის რანგში ხორციელდება.

ტყე. „ლიტერატურული საქართველოს“ ზემოხსენებულ სტატიაში ვ. გულისაშვილის სახ. მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი, გიორგი გიგაური ბრძანებს: „რესპუბლიკაში ყოველწლიურად 800-900 ათასი კუბომეტრი ხე-ტყე იჭრება. ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყოლებაზე კი სულ შეიძლება 10-15 ათასი კუბომეტრი მოიჭრას, მაშინ როცა ამ ტყეების მერქნის საერთო მარაგი 4 მილიონ კუბურ მეტრს აღემატება“. შემდეგ: „საქართველოს ტერიტორიის 39 პროცენტი ტყით არის დაფარული. ტყიანობით ჩვენ მხოლოდ რსფსრ-ს ჩამოვრჩებით. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში რესპუბლიკის ტყიანობა 5 პროცენტით გაიზარდა“. საწინააღმდეგო ან განსხვავებულ აზრს პროფესორ გიგი თუმანიშვილისგან მოველოდი. იგი „ადამიანი და ბიოსფერო“ ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა და ცნობილი სწავლულია ეკოლოგიის დარგში. ბატონი გიგი ამბობს: „კლიმატოლოგები ვარაუდობენ, რომ ტყის გაჩეხვამ ენინალის წყალსაცავისათვის ტენიანობა გაზარდა. ეგებ ამიტომაც გახშირდა დიდთოვლობა“. (იქვე) თუ უცოდინარობაში არ ჩამომერთმევა, ვიტყვი: ტყის გაჩეხვა ტენიანობის ზრდას კი არა, კლებას იწვევს. ამას გარდა, ყველის გვახსოვს, ენინალის წყალსაცავის ტერიტორიაზე ტყე კი არა, მეჩხერი ბუჩქნარი იყო, ხოლო ტენიანობის მატება თვით წყალსაცავის უზარმაზარი სარკის აორთქლებით უნდა აიხსნას. საუბარი ტყეზე გვაქვს, ტყის დანაკარგზე სხვა ცნობები არ გამაჩნია, გარდა იმისა, რომ იმავე მასალაში „კავგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსი, ავთანდილ ჩალაძე და მისი უცვლელი მოადგილე ელგუჯა ავალიანი ბრძანებენ: „პროექტი ითვალისწინებს მშენებლობის დროს ტყის დაზიანებული საფარის გეგმაზომიერ აღდგენას. ასე, რომ რკინიგზის მშენებლობა არ დააზიანებს მცენარეებს“. „პირნათლად შეავსრულებთ ყველა მოქალაქეობრივ მოვალეობას, რადგან საქმე მხოლოდ მშენებლობას როდი ეხება“. ამ ორ ადამიანს არამარტო პირადად ვიცნობ და ვმეგობრობ, არამედ მათ არაერთხელ გამოიჩინეს თავი მშენებლობის დროს ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვაში. ეს ფირზეც არის აღბეჭდილი. დასასრულ, როგორც იმავე წერილში ბატონი გიორგი გიგაური ბრძანებს, „ტყე ისევ ტყედ რჩება, რაც ხელს შეუწყობს ბუნებაში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას“. ჩემთვის ეს საკმარისია.

წყალი. ენინალის წყალსაცავს, ანუ ჩვენი დედაქალაქის სასმელი წყლის რეზერვუარს, ძირითადად, ორი არაგვი კვებავს — თეთრი და შავი. ამდენად, ორივე არაგვში ჩამდინარე ფეკალურისა თუ სხვა გამოყენებული წყლების მექანიკურსა და ბიოლოგიურ გაწმენდას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. არ ვიცი, ენინალის წყალსაცავის მშენებლობის პროექტი ითვალისწინებდა არაგვებისპირა დასახლებული პუნქტებისთვის წყლის გამწმენდი ნაგებობათა აშენებას თუ სალექარის როლი თვით წყალსაცავს დაეკისრა. ტრანსკავკასიის რკინიგზის პროექტი ითვალისწინებს ენინალამდე არაგვების დინებაზე ყველა დასახლებული პუნქტის წყლის გამწმენდი ნაგებობით აღჭურვას და საკანალიზაციო კოლექტორს ბარისახოდან ქსნამდე, რომელიც უკვე გაწმენდილ წყლებს მოაგროვებს, მტკვრის პირას აგებულ სხვა გამწმენდ ნაგებობაში მიიტანს და აქედან, კიდევ ერთხელ მექანიკურად და ბიოლოგიურად გაწმენდილი წყალი, მტკვარს შეუერთდება. გამოდის, რომ გამოყენებული წყალი ენინალის წყალსაცავში საერთოდ აღარ მოხვდება, ეგ არის, გამწმენდი ნაგებობები მაეჭვებს. მართალია, დასავლეთ გერმანიაში ფეკალური წყლების გამწმენდი ნაგებობის დირექტორი გადამუშავებულ წყალს რომ ბროლის ჭიქით მიირომევს, ეს საკუთარი თვალით დოკუმენტურ ფილმებში რამოდენიმეჯერ მინახავს, მაგრამ ისიც დანამდვილებითა და ურყევად ვიცი, რომ ამას საქართველოში არსებული, დასავლეთ გერმანული წარმოშობის არც ერთი გამწმენდი ნაგებობის დირექტორი არ იკისრებს იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც, ვთქვათ, საწარმოო გაერთიანება „ისანის“ გენ. დირექტორი თავის ქარხანაში, დასავლეთ გერმანულ მოწყობილობაზე შეკერილ ფეხსაცმელს არ ჩაიცვამს. წყლის გამწმენდი ნაგებობების საკითხს კარგად ვიცნობ, ამ თემაზეც რამოდენიმე ფილმი გვაქვს გადაღებული. ზოგი ნაგებობა საერთოდ უვარგისია; ზოგი მექანიკურად წმენდს და ბიოლოგიურად — ვერა; ზოგი — პირიქით და მხოლოდ რამდენიმეს შეიძლება გამწმენდი დაერქვას. ასე იყო ორი წლის წინ. ახლა — არ ვიცი. იმის სასოება მაქვს, რომ თბილისის სასმელი წყლის სისუფთავის კონტროლი სპეციალიზებული ლაბორატორიის მიერ ხორციელდება. ასეა თუ ისე, წყლის სისუფთავე უზრუნველყოფილი მგონია.

ზეპასპშეშოგა. ღვარცოფი. კავკასიონის მასივი შედარებით ახალი გეოლოგიური წარმონაქმნია. იგი ჩამოშლის პროცესს უფრო ინტენსიურად განიცდის, ვიდრე, ვთქვათ, ურალი. ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ, მაგრამ ზვავებსა და ღვარცოფებს ყოველწლიურად დიდი ზარალი მოაქვს და არამარტო მატერიალური. ასე იყო წარსულში. წლეულს ამან ხომ კატასტროფულ შედეგებს მიაღწია. ეს ჩვენი ეროვნული ხვედრია და გაგრძელდება იქამდე, სანამ ჩვენი მრავალი ათასიანი მდინარის დარეგულირებას მოვახერხებთ, რაც კავკასიონის დაშლის პროცესს შეასუსტებს და, ამასთან ერთად, გაგრძელდება იქამდე, სანამ ზვავებისა და ღვარცოფების წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერულად შესწავლილ მეთოდებს შევიმუშავებთ. რკინიგზის პროექტი მრავალ ასეულ ზვავ და მეწყერშემკავებელ ნაგებობას ითვალისწინებს. ქართველ დამპროექტებლებსა და ინჟინრებს ამ საქმის ცოდნაც აქვთ და დიდი პრაქტიკული გამოცდილებაც. ვფიქრობ, მხედველობაში ყველაფერი ან, თითქმის, ყველაფერი აქვთ მიღებული. საყურადღებოა ისიც, რომ ტრანსპორტის მოძრაობას დაბალი სიხშირის ტალღების წარმოქმნა მოსდევს და ეს დიდი დამანგრეველი ძალაა. ზოგ ქვეყანაში დაბალ სიხშირეს ბეტონის კედლებისა და კლდეების სანგრევად იყენებენ. ამან შეუძლებელია სათანადო შედეგები არ მოიტანოს. სურამის უღელტეხილის რეკონსტრუირებული გზა ხშირად იმეწყრება და ამის მიზეზი, ტექტონური ძვრების გარდა, ვიბრაცია და დაბალი სიხშირის ტალღები მგონია. თქვენ ალბათ, ეს მოსაზრება უვიცობაში ჩამომერთვას, მაგრამ ასეთი ფაქტორი არსებობს და მისი გათვალისწინება საჭიროა. ზვავებსა და ღვარცოფებზე ლაპარაკი იმით დავიწყეთ, რომ კავკასიონი დაშლის პროცესს განიცდის, რაც ჩამოსაშლელია უნდა ჩამოიშალოს. ინჟინრებთან და ეკოლოგებთან საუბრებიდან ვიცი, რომ გზის გაყოლებაზე ამენებული შემკავებელი ნაგებობები ამ პროცესს დაარეგულირებენ და მნიშვნელოვანი ცვლილებები მშენებლობის შედეგად მოსალოდნელი არ არის.

ზაუნა. ამ მხრივ გზა, რა თქმა უნდა, გარკვეულ კორექტირებას მოახდენს, ცხოველს ზარი და ზათქი არ უყვარს, რკინიგზას გაეცლება, სიღრმეში გადაინაცვლებს, მაგრამ ეს მხოლოდ ბრაკონიერებს გაუნელებს მოღვაწეობას, პოპულაციას შევინარჩუნებთ თუ, რა თქმა უნდა, ამისათვის სათანადო ზრუნვას გამოვიჩენთ.

ვფიქრობ, სხვა ეკოლოგიური ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, მაგისტრალის მშენებლობა ბუნებას იმდენად უმნიშვნელო ზარალს აყენებს, რომ საგანგაშო აქ სრულიად არაფერია.

ხუროთმოძღვრება, ისტორია

ძეგლები. მიწისზედა ძეგლები რომ ხელუხლებელი და ყველა თავის ადგილზე რჩება, ეს, მგონია, ეჭვს აღარ იწვევს. რკინიგზის ტრასა ისეა დაპროექტებული, რომ ხუთას მეტრზე ახლო არც ერთ ნაგებობას არ ეკარება. ამას ჩვენი ძეგლთა დაცვის მამამთავარი, პროფესორი ირაკლი ციციშვილი ამბობს: „საქართველოს ტერიტორიის მთელ მანძილზე ისტორიისა და კულტურის მიწისზედა ძეგლებს რკინიგზა არ ეხება“ და „თუკი მშენებლობის დროს რაიმე ძეგლი დაზიანდება (იგულისხმება ძეგლები ჩერენ-ინგუშეთისა და ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზე. ჭ. ა.), ამ ძეგლს ჩვენ შევაკეთებთ („ლიტ. საქართველო“, 05.06.1987. „რკინიგზა და არქეოლოგიური ძეგლები“). ამასვე ადასტურებს პროექტის ავტორი, ბატონი ნიკოლოზ სვანიშვილი: „არცერთი ობიექტი ჩვენს ინსტიტუტში, ჩემი მუშაობის განმავლობაში, ასე დეტალურად არ განხილულა“ და „ჩვენი ტრასა არ ეხება არც ერთ ისტორიულ, არქიტექტურულ ძეგლს... (დაპროექტებისას. ჭ. ა.) მხედველობაში გვქონდა ის ხარჯთაღრიცხვა, არქეოლოგიური ცენტრიდან რომ მოგვაწოდეს.. ჩეჩენ-ინგუშეთის და ჩრდილოეთ ოსეთის ორგანიზაციებიდანაც ჩამოვიდნენ. შეადგინეს ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დამტკიცებულია ჩვენთან, არქეოლოგიური ცენტრის მიერ, თვით ოთარ ლორთქიფანიძის მიერ“ (იქვე), რასაც თვით ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე აღასტურებს: „შედგა, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელსაც ჰქვია ხარჯთაღრიცხვა — ისტორიულ-არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული ძეგლების შესასწავლად საკარაუდებელ ზონაში...“ ყურადღება მივაქციე იმას, რომ მიუხედავად ზემოხსენებული საუბრის სიმძაფრისა და კამათის სიმწვავისა, ისტორიკოსებმა იქ მიწისზედა ძეგლების ხელუხლებლობაში ეჭვი ვერ შეიტანეს. არც მე მეეჭვება.

არქეოლოგია. ეს პრობლემა მართლაც ურთულესია. როგორ უნდა გამოიცნო, მიწის ქვეშ რა არის? იმ არქეოლოგიურ ობიექტებს ვგულისხმობ, რომელთა გამო წყაროებში მიახლოებითი მინიშნებაც კი არ არსებობს. პირადად მე ერთი ძველი წელთაღრიცხვისა თუ ქრისტიანობამდელი ქართულ-ენოვანი ძეგლი მსოფლიოს ყველა რკინიგზას მირჩევნია. მეორე მხრივ, საქართველო, ისევე როგორც სხვა ძველთაძველი ქვეყნები, არქეოლოგთა მექაა — სადა ნიჩაბს დაჰკრავ, ყველგან რაღაც მნიშვნელოვანი ამოდის. კანონი არქეოლოგების მხარეზეა, ასეა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, მაგრამ კანონი, რამდენადაც ვიცი, არქეოლოგებისა და მშენებლების შეთანხმებულ მუშაობას გულისხმობს. ზოგ შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოების დროებით შეჩერება ხდება, საგანგებო შემთხვევაში მშენებლები უბანს საერთოდ ტოვებენ, როგორც ეს ნასტაკისის ველზე მოხდა. ტრანსკავკასიის მაგისტრალის სხვა მონაკვეთებზეც ასე მოხდება, მაგრამ საქართველოს მთლიანად არქეოლოგიურ ნაკრძალად გამოცხადება და ყოველგვარი მიწის სამუშაოების აკრძალვა პრაქტიკულად ვერ მოხერხდება. ასეთი მიდგომა რეალურობის ნასახსაც არ შეიცავს თუ, რა თქმა უნდა, ცხვრიანში ტახის ეშვებს არ გავიყრით და საკაცობრიო პროგრესს რამენაირად მაინც გვინდა ფეხი ავაყოლოთ. დაპროექტებელთა და მშენებელთა მხრივ უციცობელი კომპრომისის პირობებში საერთო ენის პოვნა შესაძლებლად მიმაჩნია. არქეოლოგებმაც, თავის მხრივ, ფხა უნდა გამოიჩინონ, მეცნიერებისა და ერის სასარგებლოდ დროულად უნდა გამოიყენონ ის დიდი სახსრები, რასაც ჩვენი სიძველეების ძიების საქმე არასოდეს მოსწრებია. გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ **ტრასაზე უნდა დაარსდეს მუდმივმოქმედი ეკოლოგიური და არქეოლოგიური კონტროლის სამსახურები, რომლებიც არა მარტო მკაცრ ზედამხედველობას განახორციელებენ, არამედ ამა თუ იმ უბანზე მშენებლობის დაუყოვნებელი შეწყვეტის უფლებითაც იქნებიან აღჭურვილი** და ყოველივე ეს მშენებლობის ხარჯზე უნდა განხორციელდეს. ასეთ ვითარებაში ტრანსკავკასიის გზა მეცნიერებას დიდ სარგებლობას მოუტანს. როცა მშენებლობა დამთავრდება, არქეოლოგებისთვის მხოლოდ ათი მეტრის სიგანე ზონი იქნება დაფარული, დანარჩენი ზედაპირიდა და მიწისქვეშეთიც მათ განკარგულებაში რჩება, თუკი ობიექტის არსებობის რაიმე მინიშნებას მიაკვლევენ. აქ სხვა გამოსავალი არ არის და მდგომარეობა ჩემი აზრით, შეწყნარების ღირსია.

ეთნიკურ-დემოგრაფიული ასპექტი

იმიგრაცია. ამას ხმამაღლა, თითქმის, არავინ ეხება. ზურგსუკან ჩურჩული კი უარესად ყვირის. ლენინური ნაციონალური პოლიტიკა ინტერნაციონალიზმის პრინციპზეა აგებული. იგივე პოლიტიკა ერთი რომელიმე ერის დემოგრაფიული აფეთქებისა თუ კულტურულ-პოლიტიკური აღზევების შედეგად მეორე ერის შევიწროებისა და, მით უმეტეს, შთანთქმის კატეგორიულად წინააღმდეგია. ამ თემის გარშემო საღი მსჯელობისთვის ტაბუ არავის დაუდვია. დღეს, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის ვითარებაში — მით უმეტეს. გაუგებარია, ზოგ ადამიანს მშენებლობის საწინააღმდეგო სხვადასხვა, ელემენტარულ ლოგიკურობას მოკლებული არგუმენტები მოაქვს და რაც აწუხებს იმაზე სდუმს — მშენებლობის პროცესისა და აშენებული გზის ეთნიკურ-დემოგრაფიული ვისი არსებობის ათასხუთასი წლის მანძილზე ექვსას თუ მეტ წელიწადს არაქართული იყო, კიდევ რამოდენიმე საუკუნე — თუმცა სრულიად საქართველოს დედაქალაქი, მაგრამ ინტერნაციონალური, სადაც ქართველობა უმცირესობას შეადგენდა. მაინც ვიმარჯვეთ, თბილისი არამარტო ჩვენი დედაქალაქია, არამედ ქართულიც, გადავგვარდით თუ გადავშენდით? მკითხველმა თავად განსაჯოს. სიცხადისთვის სტატისტიკას მივხედოთ. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1979 წლის სტატისტიკური მონაცემებით 5015 ათასი მცხოვრები იყო, აქედან ქართველი 3433 ათასია ანუ 68,8 პროცენტი. საქართველო თავისი ისტორიის ყველა ეპოქაში მრავალეროვანი იყო და ამას ჩვენთვის ხელი არაფერში შეუშლია.

საქართველოს არაქართული მოსახლეობის ნაწილი ყოველწლიური კლების ტენდენციას ამღავნებს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე საქართველოში ისეთი უზარმაზარი ობიექტები აშენდა, როგორიც „ენგურჰესი“, „ინგალჰესი“, ახალქალაქის რკინიგზა და ღმერთმა იცის, კიდევ რამდენი რამ. ტრანსკავკასიის მაგისტრალის საქართველოს ნაწილი, სამუშაოთა ფრონტის სივწროვის გამო, მუშატევადობის მხრივ, ზემოთ დასახელებულ სამთავე ობიექტს დიდად ჩამორჩება და სწორედ ამ სივიწროვისა და ძნელად მისადგომობის გამო სჭირდება მის აშენებას 15 თუ 20 წელიწადი. ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობისას ადგილობრივი მუშახელი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. ასე იყო „ენინალჰესზეც“. მშენებლობის მიწურულს ბატონმა ავთანდილ ჩალაძემ მითხრა, — ეს ობიექტი მთიულებმა აეშენესო. კავკასიონის ქედზე სამი საავტომობილო და ორი რკინიგზა გადმოდის. აგერ, უკვე რამდენი ხანია, თუ ვინმეს გადმოსვლა და საქართველოს მთიანეთში დასახლება სურდა, ხელი ვინ შეუშალა? ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის მოწინააღმდეგეებს ისე აქვთ წარმოდგენილი, რომ იმ ადგილებში, სადაც ქედქვეშა გვირაბმა ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა გაიხედოს, ბარხანა აკიდებული ხალხი ბანაკებად დგას და შემოჭრის ბუკს ელის. მეპატიოს და ტრანსკავკასიის რკინიგზის აშენების შედეგად მოსალოდნელ სერიოზულ ეთნიკურ-დემოგრაფიულ ცვლილებებს ვერ ვხედავ.

რა დარჩა?

გამტარუნარიანობა და ვითომ კიდევ ის, რომ რკინიგზების როლი მსოფლიოს და, კერძოდ, ჩვენი სახელმწიფოს ტვირთზიდვაში წლითიწლობით ეცემა, რომ ამ სატრანსპორტო საშუალებით დადადგილებული ტვირთის ტონაჟი კლებულობს.

გამტარუნარიანობაზე ერთმა შედეგები აწუხებს. განზრახვა მაქვს, ეს გაუმართლებელი დუმილი დავარღვიო. დავიწყებ იმით, რომ ქართველი ერი ისტორიულად ღია კულტურის ერია. არც ერთი კულტურული ექსპანსიისა არ შეგშინებია. პირიქით, ჩვენდა საამაყოდ, თავად ვახდენდით სულიერ ღირებულებათა იმპორტს. რა წავაგეთ იმით, რომ დავით გურამიშვილმა, ბესიკმა, გრიგოლ ორბელიანმა, ილია ჭავჭავაძემ, ივანე მაჩაბელმა, აკაკი წერეთელმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, გეორნტი ქიქოძემ, ლადო გუდიაშვილმა, დავით კაკაბაძემ, ელენე ახვლედიანმა და სხვა ქართველმა ინტელიგენტებმა უცხო კულტურებს გვაზიარეს! როცა დამხვდური კულტურა თავად ძლიერია და დიდი ტრადიციების მატარებელია, იგი შემოსულია თუ შემტანილის მავნე ზეგავლენას კი არ განიცდის და, მით უმეტეს, კი არ უსახურდება, არამედ გაეცნობა მას, თავის ეროვნულ პრიზმში გადატეხავს, სასურველს დაიტოვებს, დაისაკუთრებს, შემდგომი პროგრესის საშუალებად გადაქცევს, უცხოს არ გაიკარებს; გადაადგებს. რანდენმა და რამდენნაირმა კულტურამ შემოგვიტია, მაგრამ ვერაფერი დაგვაკლო, ისევ საკუთარი კულტურის მატარებელ ერად ვრჩებით და საკაცობრიო სულიერ ღირებულებათა საგანძურშიც ვახერხებთ ჩვენი წვლილის შეტანას. რამდენმა და რამდენნაირმა უცხო თესლმა გვთესა და გადაგვიარა!.. დიდ კატაკლიზმებს თავი დავანებთო, თბილისი თანამედროვე ევროპული ქალაქია, ჩემმა მეგობარმა, ქართველი ერის წინაშე ღვაწლმოსილმა კაცმა მითხრა, — მანდ მატარებლები საათში 20-25 კილომეტრის სისწრაფით ივლიანო. მიუხედავად მისი მრავალმხრივი კომპეტენტურობისა, გადაგწყვიტე, ნათქვამი შემემოწმებინა. აღმოჩნდა, რომ დღევანდელ მსოფლიოში არ არსებობს რკინიგზა, რომელზეც, ყველაზე მოძველებული ტიპის წევითაც კი, შემადგენლობები საშუალოდ 50 კილომეტრზე ნაკლები სისწრაფით მოძრაობდნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებ ვიწროლიანდაგიან გზებს, სადაც მატარებლები კოტრობებზე დაღოღავენ. რა ღმერთი გაუწყრება საგზაო მშენებლობის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აგებულ ორლიანდაგიან რკინიგზას, თბილისური რვაღერძიანი ზემძლავრი ელექტრომავლების წევით, რომ ვიწროლიანდაგიანი „თხების“ სისწრაფით ატარონ შემადგენლობები? ვეთანხმები ჩემს მეგობარს, ისეთი მნიშვნელოვანი ტრანსკავკასიის რკინიგზაზე, ალბათ, იქნებაც, სადაც შემადგენლობა 20-25 კილომეტრზე სწრაფად ვერ გაივლის, მაგრამ საშუალოდ საპროექტო სიჩქარე 50-60 კილომეტრია და შემადგენლობები ამ სისწრაფით ივლიან. მართალია, რკინიგზის არსებობის პირველი ათი, თხუთმეტი წლის მანძილზე მოსალოდნელი ზვავ-მეწყერი მის ექსპლოატაციას რამდენადმე გაანელებს და ცოტათი შეანელებს კიდეც, მაგრამ ჩამოსაშლელი ბოლოსდაბოლოს ჩამოიშლება და ყველაფერი საჭირო კალაპოტში ჩადგება. ასე ამბობენ სპეციალისტები, ამას მოწმობს მაღალმთიანი რკინიგზების ექსპლოატაციის პრაქტიკა.

ახლა იმაზე, ეცემა თუ არა სარკინიგზო ტვირთზიდვის როლი. ჩავიხედოთ სტატისტიკაში. „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საავტომობილო, საპაერო და მილსადენი ტრანსპორტის სწრაფი განვითარების გამო შეიმჩნევა რკინიგზის ტრანსპორტის ხვედრითი წილის ერთგვარი დაცემა საერთო გადაზიდვაში. მიუხედავად ამისა, **აბსოლუტური მონაცემებით,** (ხაზი ჩემია, ჭ. ა.) საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვა მნიშვნელოვნად იზრდება. მაგალითად, 1980 წელს 1975-თან შედარებით ტვირთზიდვა გაიზარდა 17,5 მილიონი ტონით, ტვირთბრუნვა — 1,9 მილიარდი ტონა-კილომეტრით, მგზავრების გაგზავნა — 3,4 მილიონი კაცით, მგზავრთბრუნვა — 500 მლნ მგზავრ-კმ. („ზსე“ ტ. „საქართველოს სსრ“. გვ. 143, სვ. —1). სპეციალისტების აზრით, ვისაც ამ თემაზე ველაპარაკე, რკინიგზის გადაზიდვების ხვედრითი წილის ერთგვარი შემცირება, ძირითადად, ორი ფაქტორით აიხსნება: საქართველოს რკინიგზებს გამტარუნარიანობის მაქსიმალური ათვისებით, რის შემოთავაზებული ტექნიკისა და შრომის ორგანიზაციის პირობებში ტვირთზიდვის მატება მცირეა და იმითაც, რომ მოკლე მანძილებზე გადაზიდვების უდიდესი ნაწილი ავტოტრანსპორტით ხორციელდება. აქვე აღვნიშნოთ, რომ საავტომობილო გზების კეთილმოწყობისა და განვითარების, თვით საავტომობილო ტრანსპორტ ი ს თვისობრივი და რაოდენობრივი ზრდის შედეგად 1980 წლისთვის 1970 წელთან შედარებით გადაზიდული ტვირთის ოდენობამ 177 მილიონი ტონით იმატა, ტვირთბრუნვამ — 2.784 მლნ ტონით, მგრამ ავტოგადაზიდვების საშუალო მანძილი თვ 1970 წელს 14,6 კილომეტრს შეადგენდა, ათ წელიწადში, ანუ 1980 წლისთვის საშუალო მანძილმა მხოლოდ 0,6 კილომეტრით იმატა და 15,2 კილომეტრი გახდა. („ზსე“. ტ. საქართველოს სსრ“. გვ. 144. ცხრილი). მოკლე მანძილებზე ტვირთის გადაზიდვა ავტოტრანსპორტმა იკისრა და ეს იმანაც გამოიწვია, რომ რკინიგზებს გამტარუნარიანობა არ ეყოთ. ეკონომიკურ პრობლემატიკაში ჩახედულმა კაცებმა კარგად იციან, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამამუხრუჭებელი ფაქტორი სწორედ რკინიგზების მცირე გამტარუნარიანობა და ტვირთის შემოზიდვისა და გაზიდვის არათმუღლობაა. საქართველოში ორლიანდაგიანი რკინიგზა სულ რაღაც ასიოდე კილომეტრი გვაქვს, ტვირთზიდვის რა რიტმულობაზე შეიძლება ლაპარაკი. მართალია დასავლეთის ტრასაზე აქა-იქ მეორე ლიანდაგების მშენებლობა ხორციელდება, მაგრამ ეკონომისტები, სარკინიგზო ტვირთბრუნვის წარსული სტატისტიკიდან გამომდინარე ამბობენ, რომ არც ეს იქნება საკმარისი. იმავე, ზემომოყვანილი სტატისტიკიდან ცხადია, რომ რკინიგზების როლი კი არ მცირდება — იზრდება და ეს გლობალური პროცესია.

ვფიქრობ, თითქმის, ყველა შესაძლო ზიანის მომტან ფაქტორს შევეხე და ახლა ტრანსკავკასიის რკინიგზის აშენებით გამოწვეული დანაკარგები უნდა შეჯამდეს: პაერის გაჭუჭყიანება პრაქტიკულად არ მოხდება. ყველანაირი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის დანაკარგი — 171,1 ჰექტარია. ტყე 10-15 ათასი კუბური მეტრი გაიჩეხება და მშენებლობის პროცესში და მისი დამთავრების შემდეგ უმჯობესი ჯიშებით აღსდგება. წყლის სისუფთავე უზრუნველყოფილია. ზვავ და მეწყერ საშიშობა დარეგულირდება და რკინიგზა ამ მხრივ მნიშვნელოვან ცვლილებებს არ გამოიწვევს. ფაუნაში მოსალოდნელია მიგრაცია, მაგრამ პოპულაციის შენარჩუნება-შეუნარჩუნებლობაზე რკინიგზა ვერ იმოქმედებს. მიწისზედა ძეგლებს რკინიგზა არ ეხება და თუ რომელიმეს მაინც რაიმე ზიანი მიადგა, რესტავრაცია მშენებლობისავე ხარჯზე განხორციელდება. არქეოლოგებისა და მშენებლების შეთანხმებული მუშაობისა და ეკოლოგიური და არქეოლოგიური ინსპექციაკონტროლის პირობებში ჩნდება დამატებითი ერთობ მნიშვნელოვანი სახსრები და აქ შესაძლო ზიანის ქცევა დიდ სარგებლობად სრულიად რეალური საქმეა. ეთნიკურ-დემოგრაფიული პრობლემა არ არსებობს. სარკინიგზო ტრანსპორტის როლის დაცემა და ტრანსკავკასიის რკინიგზის გამტარუნარიანობის სიმცირე ვერ დასტურდება.

ასეთმა ანალიზმა და მისმა შედეგებმა იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ტრანსკავკასიის რკინიგზის აშენება საქართველოს ვერავითარ რეალურ ზიანს ვერ მოუტანს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მისი აშენება საჭიროა და, მით უმეტეს, აუცილებლად საჭირო. საჭიროებამდე სხვა ფაქტორების ანალიზმა მიმიყვანა.

ჩვენს ეპოქაში და ყოველთვის ერის ცივილიზებულობის ერთ-ერთი კრიტერიუმი გზების სიგრძე და მდგომარეობაა. ისტორიამ იცინა, სამხრეთის კომუნიკაციები განუვითარებელი დაგვრჩა. უღრმესად მწამს, ამაში დრო კორექტივებს შეიტანს, რადგან მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას თავისი კანონები აქვს. ჩვენი სარკინიგზო კომუნიკაციების დღევანდელი მდგომარეობა რეგიონის ეკონომიკური პროგრესის მოთხოვნებს და პოლიტიკურ ვითარებას დაემორჩილა. არსებული რკინიგზების აშენებას საუკუნეზე მეტი დასჭირდა. ეკონომიკა ვითარდება. უნდა განვითარდეს რკინიგზაც. აი, სარკინიგზო ტვირთზიდვის დინამიკა საქართველოში მილიონ ტონებში: 1950 წ. — 18,76. 1960 წ. — 45,03. 1970 წ. — 67,05. 1975 წ. — 81,98. 1980 წ. — 101,5

უცხოეთში
ფაქტები • მოვლენები

ერთგული და მტკიცე მეგობარი

ო. ტამბოს განცხადება

ჯორჯტაუნი. **საბჭოთა კავშირი სამხრეთ აფრიკის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ერთგული და მტკიცე მეგობარი,** განაცხადა აქ ვიზიტად მყოფმა სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პრეზიდენტმა ოლივერ ტამბომ. გაიარის დედაქალაქში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან მკაცრად გააკრიტიკა დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც ამუხრუჭებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას, უარს ამბობენ პრეტორიის რეჟიმის წინააღმდეგ ყოვლისმომცველი ეკონომიკური სანქციების შემოღებაზე. ტამბომ უარყო დასავლეთის ქვეყნების მტკიცება, თითქოს სანქციების შემოღება გააუარესებს ქვეყნის შავკანიანი მცხოვრებლების მდგომარეობას. „რაც უფრო სწრაფად შემოიღებენ სანქციებს, — თქვა მან, — მით უფრო მალე იქნება მიღწეული საბოლოო გამარჯვება, ესე იგი, აპარტეიდის სისტემის ლიკვიდაცია“.

ფოტოგამოფენა „კოსმოსი და მშვიდობა“

ბერლინი. „კოსმოსი და მშვიდობა“ — ასე ეწოდება ბერლინის საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლში გახსნილ საკდესის ფოტოგამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილი 200-მდე ნამუშევარი თვალნათლივ ასახავს საბჭოთა მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ სამყაროს მშვიდობიანი მიზნით ათვისების ეტაპებს. გამოფენის დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობიან საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის ნიმუშებს. — მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრით დაწყებული და თანამედროვე ორბიტული სადგურებით დამთავრებული, აფართოებენ თავიანთ წარმოდგენას სამყაროს დამპყრობთა წვრთნაზე, კოსმოსურ ხომალდებში მათ საქმიანობაზე.

მოეწყო ბრიტანეთის ბირთვული მოწყობილობის აფეთქება

ლონდონი. ამერიკის ნევადის შტატის სამხედრო პოლიგონზე ოთხშაბათს მოეწყო 20-დან 150 კილოტონამდე სიმძლავრის ბრიტანული ბირთვული მოწყობილობის აფეთქება. როგორც დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, იგი განხორციელდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის თხოვნით ურთიერთმორიგების შესაბამისად, რომელიც მოქმედებს 1958 წლიდან.

ბირთვული შეიარაღების სრულყოფაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მჭიდრო თანამოქმედება ვაშინგტონისა. და ლონდონის ეგრეთწოდებული „განსაკუთრებული ურთიერთობის“ ნაწილია. როგორც აქ აღნიშნავენ, ახლანდელი აფეთქება იყო პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის პატივსაცემად მიცემული თავისებური „სიმბოლური სალუტი“, რომელიც ვაშინგტონში ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მოსალაპარაკებლად.

დიდი შთაბეჭდილება

ამერიკელი ეკონომისტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ნიუ-იორკი. **ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის მოხსენებამ და დამტკიცებულმა „ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადმა დებულებებმა“,** — განაცხადა ფილადელფიის პენსილვანიის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორმა, „პლანეკონის“ კვლევითი კორპორაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ჰერბერტ ლევინმა. საკდესის კორესპონდენტთან ტელეფონით საუბრისას ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ავტორიტეტიანმა საბჭოთა კავშირის სპეციალისტმა ხაზგასმით აღნიშნა: „მიხეილ გორბაჩოვის გამოსვლაც და პლენუმის დოკუმენტებიც მოწმობს, რომ სსრ კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ზუსტად ესმის იმ პრობლემათა მასშტაბი, რომლებსაც აწყდება დღეს საბჭოთა ეკონომიკა, და რომლებიც გარდაქმნას საჭიროებს. ეს დოკუმენტები დასაბამს აძლევს მნიშვნელოვან ნაბიჯებს ამ მიმართულებით“.

„საბჭოთა ხელმძღვანელობას, — თქვა შემდეგ პროფესორმა, — ესმის, რომ არსებობს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების ურღვევი კავშირი. და იმისათვის, რომ დაიწყოს რეფორმის განხორციელება, საჭიროა ცვლილებები საზოგადოების ცხოვრების ამ სამივე სფეროში, თქვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც მე უაღრესად მნიშვნელოვნად მესახება, ის არის, რომ რეფორმები არ მიიჩნიათ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილად, უძრავად, კორექტირებას რომ არ ექვემდებარება. როგორც ჩანს, რეფორმების მთელი პროცესი აღებულია დიალექტიკური განვითარების თვალსაზრისით“.

„ბევრნი, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაში, ამ დღეებში საბჭოთა კავშირის სპეციალისტებს, რომლებსაც მეც მივეკუთვნები, ერთსა და იგივეს ეკითხებიან: „სასურგველოა თუ არა გარდაქმნა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის? მე მტკიცედ ვუპერმხარს იმათ, ვისაც მიაჩნია, რომ იგი ხელსაყრელია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის — ხაზგასმით აღნიშნა პროფესორმა. — მსოფლიო გაცილებით უფრო უსაფრთხო ადგილი გახდება. რაც უფრო რაციონალურად აიგება ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის, მით უფრო უსაფრთხო გახდება ჩვენი თანამედროვე ბირთვული მსოფლიო, მით უფრო მშვიდად და უშიშრად იგრძნობენ იქ თავს ადამიანები“.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების

კოსმოსური პროგრამები

ვაშინგტონი. ოთხშაბათს გაიმართა პრესკონფერენცია თემაზე „ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მიღწევებისა და გეგმების შედარება კოსმოსური მეცნიერების დარგში და მისი პრაქტიკული გამოყენება“. პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ კოსმოსის კვლევის პრობლემის წამყვანი ამერიკელი სპეციალისტები.

„ჩვენ, შესაძლოა, ვდგავართ ახალი თანამგზავრის გამოჩენის ზღურბლზე, — თქვა ამერიკის აერონავტიკისა და ასტრონავტიკის ინსტიტუტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, დოქტორმა ჯერი გრეიმ. მე არ მინდა ვთქვა, რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ისევ ისეთ საოცარ სიურპრიზს უმზადებს, როგორიც იყო პირველი თანამგზავრის გაშვება. საქმე ის არის, რომ ამერიკის საზოგადოებრიობა, საერთოდ, საკმარისად არ არის ინფორმირებული სსრ კავშირის კოსმოსური მიღწევების შესახებ და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გაოცოს კოსმოსის კვლევაში საბჭოთა კავშირის პროგრესის რეალურმა მდგომარეობამ“.

ორატორებმა აღნიშნეს, კერძოდ, რომ საბჭოთა კავშირმა შორს გაუსწრო შეერთებულ შტატებს ორბიტული პილოტირებული კოსმოსური ფრენის საიმედოობისა და ხანგრძლივობის საქმეში. როგორც ამასთან დაკავშირებით აღნიშნა კონგრესის კვლევითი სამსახურის წამყვანმა სპეციალისტმა კოსმოსის დარგში მარსია სმიტმა, „მაშინაც კი, როცა განახლდება „შატლის“ ტიპის კოსმოსური ხომალდების ფრენა, ამერიკის შეერთებული შტატების ჩამორჩენა ამ დარგში კვლავ ძველებური იქნება“. სსრ კავშირის ყველაზე ბოლო წარმატებებს შორის მ. სმიტმა აღნიშნა აგრეთვე ორბიტაზე კოსმოსური სადგურის „მირის“ გაყვანა, რომელიც „მოქნილი, მრავალმიზნობრივი კოსმოსური ლაბორატორიაა“, და მძლავრი რაკეტმატარებლის „ენერგიის“ გამოცდა.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს კოსმოსის კვლევის დარგში სსრ კავშირის თანამშრომლობას, მაგრამ აღიარეს, რომ ეს დიდად არის დამოკიდებული თეთრი სახლის მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

სსრ კავშირმა ამას წინათ გამოაცხადა მზის სისტემის შიდა პლანეტების კვლევის გაბედული გეგმები, რომლებიც უწინარესად მოიცავს მარსს, თქვა აერონავტიკისა და ასტრონავტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ბერტონ ედელსონმა. საბჭოთა მეცნიერებმა საზღვარგარეთელ კოლეგებს შესთავაზეს მონაწილეობა მიიღონ მათს კოსმოსურ პროგრამებში. ამერიკის შეერთებული შტატები აგრეთვე აპირებს გაუშვას „მაგელანის“ ტიპის ავტომატური საალანეტათშორისო სადგური ვენერას ზედაპირის რადიოსლოკაციო ზონდირებისათვის, „გალილეა“ იუპიტერზე და „მარს ობზერვერი“ — მარსის გამოკვლევისათვის.

ახალი მასალების წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება კოსმოსში სამუშაოთა ყველაზე საიმედო პრაქტიკული ასპექტია, განაცხადა „შატლის“ ტიპის ხომალდებით ფრენის მონაწილემ, „მაკდონელ-დუგლასის“ კომპანიის ინჟინერმა ჩარლზ უოლკერმა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სსრ კავშირმა მოაწყვეს ექსპერიმენტების სერია ბიოლოგიური და ფარმაცევტული კვლევის, ახალი შენადნობების, ნახევარგამტარებისა და ახალი ტიპის ოპტიკური მინების შექმნის დარგში. მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, განაცხადა ჩ. უოლკერმა, მხოლოდ ორმოცდაათიოდე ასეთი ექსპერიმენტი მოაწყო, მაშინ, როცა სსრ კავშირში მათი რიცხვი 1.600-ს აღემატება. „სსრ კავშირი, — აღნიშნა ჩ. უოლკერმა, ყოველნაირად ცდილობს კოსმოსის უნიკალური პირობები თავის საშინაო ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის გამოიყენოს“.

დამოუკიდებელ ქალაქების მსოფლიო ფედერაციის კონგრესი

ბრენობლი. ბრენობლში მუშაობას განაგრძობს დამოუკიდებელი ქალაქების მსოფლიო ფედერაციის მე-12 კონგრესი, რომელშიც მონაწილეობენ მსოფლიოს 50-მდე ქვეყნის დამბობილებული ქალაქების დელეგაციები. 16 ივლისს დაიწყო კონგრესის ფარგლებში შექმნილი სამუშაო კომისიების სხდომები. ისინი განიხილავენ საკითხებს, რომლებიც ეხება მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლაში დამოუკიდებელი ქალაქების მოძრაობას. დელეგატები აგრეთვე გაუზიარებენ ერთმანეთს გარემოს დაცვის, თანამედროვე ქალაქების ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის გამოცდილებას. კომისიები გააანალიზებენ ქალაქების ცხოვრებაში ახალგაზრდების როლს, მუნიციპალური ორგანოების საქმიანობაში ქალთა მონაწილეობას. დელეგაციებმა უნდა განიხილონ დამბობილებული ქალაქების თანამშრომლობის ახალი ფორმები, რომელთა მიზანია განვითარებადი სახელმწიფოებისათვის ჰუმანიტარული და ეკონომიკური დახმარების გაწევა. კომისიების სხდომათა დღის წესრიგში შეტანილია კულტურული თანამშრომლობის განვითარების, დამოუკიდებელ ქალაქების, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ოლქების, დეპარტამენტების, პროვინციების კავშირ-ურთიერთობის გაფართოების პრობლემები.

კონგრესს დაუკავშირდა გრენობლის საგამოფენო კომპლექსში გახსნილი საქალაქო მეურნეობის საერთაშორისო სალონი „ეკიპაჟი“, სადაც კერძოდ, დემონსტრირებულია საბჭოთა ქალაქების ამსახველი ფოტოგამოფენა.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ლეილა მესხი უნივერსიადის ჩემპიონია!

იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცადან, სადაც მსოფლიოს სტუდენტთა XIV ასპარეზობა მიმდინარეობს, სასიხარულო ცნობა მოვიდა: **თბილისელმა ჩოგბურთელმა ლეილა მესხმა ფინალური შეხვედრა მოუგო გაცილებით გამოცდილ და ერთობ ძლიერ მეტოქეს — ბულგარელ ივა ბუდაროვას — ანგარიშით 7:5, 7:6. ამრიგად, ლეილა მესხი მსოფლიო უნივერსიადის ოქროს მედლის მფლობელია და ახლა ისევ დაგვრჩენია, გულითადად მივულოცოთ ესოდენ შთამბეჭდავი გამარჯვება.**

მძლეოსანთა შეჯიბრებაზე იმარჯვა კიეველმა ვალერი ვანდიკმა. მან 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ოქროს მედალი მოიპოვა — 8.33,23; შუბის ტყორცნაში პირველობას დაეუფლა ტალინელი მარეკ კალეტა — 81,42 მ.

ქალთბურთელ ქალთა გუნდების ფინალური შეხვედრა იუგოსლავებმა მოუგეს საბჭოთა სპორტსმენებს — 80:73. ფრენბურთელ ქალთა გუნდების ფინალში გავიდნენ სსრ კავშირისა და ჩინეთის წარმომადგენლები, ვაკთაში — იუგოსლავიისა და ჩინეთის ნაკრები კოლექტივები.

• • •

სურათზე: უნივერსიადის ჩემპიონი ლეილა მესხი.

სატურნირო ორბიტა

სამგო. ქალაქ ორჯონიკიძეში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკ სპორტსმენთა (1971-1972 წლებში დაბადებულები) საკავშირო შეჯიბრება. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლთაგან ოქროს მედლები მოიპოვეს სოხუმელმა მირზა ბობოხიძემ (62 კგ-მდე წონით კატეგორია) და თბილისელმა არჩილ ბიძინაშვილმა (65 კგ). ვერცხლის მედლებს დაესაკუთრნენ თბილისელი იოსებ კახაბრიშვილი (59 კგ), სოხუმელები დანილ აკოფიანი (68 კგ) და არშაკ მარტიროსიანი (71 კგ). ფოთელი ედუარდ ხუბუტია (50 კგ) მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა. 13 კოლექტივს შორის გუნდური პირველობა მოიპოვეს რუსეთის ფედერაციის სამბისტებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ თურქმენეთის წარმომადგენლები, მესამეზე — საქართველოს ჭაბუკი სპორტსმენები.

მძლეოსნობა. პარიზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე მარკოელმა საიდ აუიტამ ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა 2000 მეტრზე რბენაში — 4.50,81. ადრინდელი მიღწევა (4.51,39) ეკუთვნოდა ინგლისელ სტივ კრებსს.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ. შტუტგარტში (გფრ) მომდინარე საერთაშორისო შეჯიბრების ლიდერები არიან საბჭოთა და გფრ-ის წყალბურთელები. მათ 4-4 შეხვედრიდან 8-8 ქულა აქვთ. ასპარეზობაში მონაწილეობენ აგრეთვე ავსტრალიის, უნგრეთის, ჰოლანდიის, საბერძნეთის, ესპანეთისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები.

ᲞᲐᲓᲐᲠᲐᲯᲘ. შვეიცარიის ქალაქ ბილში დაწყებული საერთაშორისო შეჯიბრების 2 ტურის შემდეგ 1,5-1,5 ქულა აქვთ ოლეგ რომანიშინს (სსრ კავშირი), ვლადისტომილ ჰორტს (ჩეხოსლოვაკია) და ერიკ ლობრონს (გფრ). მეორე ტურში რომანიშინის მეტოქე იყო უნგრელი ქალი ეუჟა პოლგარი. ეს საინტერესო პარტია საბოლოოდ რომანიშინის გამარჯვებით დამთავრდა.

ᲤᲘᲤᲐᲜᲣᲠᲘ. კანადაში გრძელდება 16 წლამდე ასაკის იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრებმა თავის ქვეჯგუფში მესამე მატჩი ბოლივიელებთან გამართა და გაიმარჯვა — 4:2. საბჭოთა სპორტსმენებმა 5 ქულით ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. ამავე ქვეჯგუფში ნიგერიელები დამარცხდნენ მექსიკელებთან — 0:1. ნიგერიელები მეორე ადგილზე გამოვიდნენ. მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: სსრ კავშირი — მესამე ქვეჯგუფში მეორე ადგილზე გამოსული გუნდი, ნიგერია—მესამე ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გამოსული გუნდი, იტალია — სამხრეთ კორეა და კოტდივუარი — კატარი. მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება 19 ივლისს.

ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲔᲑᲘ. ბათუმში ამ მნიშვნელოვან ასპარეზობათა პროგრამით დაიწყო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. პირველი სასტარტო დღის შემდეგ ჭაბუკთა შორის ლიდერობს რუსეთის ფედერაციის განთლების სამინისტროს ნაკრები — 276 ქულა. მეორე ადგილზეა პროფკავშირთა II გუნდი — 275,85, მესამეზე „დინამოს“ საკავშირო ნაკრები — 273,35 ქულა. გოგონათა შორის დაწინაურდნენ არმიელთა ნაკრები (201,36 ქულა), პროფკავშირთა II (199,12) და „დინამოს“ (198,54) გუნდები. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები 270,65 ქულით მეექვსე ადგილზე იყო. რაც შეეხებათ ჩვენს გოგონებს, ისინი ჯერჯერობით ბოლო ადგილზე არიან.

საკდესის ცნობა

17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ მოსკოვის დროით 5 საათსა და 20 წუთზე საბჭოთა კავშირში, სემიპალატინსკის რაიონის პოლიგონზე მოეწყო მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება, რომლის სიმძლავრე 20-150 კილოტონას შეადგენდა.

აღნიშნული გამოცდა სამხედრო ტექნიკის სრულყოფის მიზნით მოეწყო.

ქართული მოდის წარმატება

რამდენიმე თვის მანძილზე აჩქარებული, დაძაბული რიტმით ცხოვრობდა მოდისა და ჩაცმის კულტურის რესპუბლიკური ცენტრი. ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივი ფრაად სერიოზული გამოცდისთვის ემზადებოდა: ესპანეთში, ბარსელონის საართაშორისო ბაზრობაზე უნდა წარმოგვედგინა ქართული მოდა.

საბჭოთა მოდის დემონსტრაცია სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა-ბაზრობებზე უკანასკნელ წლებში უკვე ტრადიციად იქცა. ქართულმა მოდამაც არაერთხელ ისახელა თავი მოდების საერთაშორისო ფესტივალებზე თუ გამოფენა-ბაზრობებზე ლაიფციგში, პლოვდივში, იზმირში, ზაგრებში, პარიზში, დასავლეთ ბერლინში, ვენაში, ბუდაპეშტში... და მაინც, ბარსელონისათვის სამზადისს განსაკუთრებული მღელვარება ახლდა — ხუმრობა ხომ არ არის, შენი ხალხის ჩაცმის კულტურა წარმოადგინო ქვეყანაში, რომელსაც თავად აქვს ჩაცმა-დახურვის მრავალსაუკუნოვანი უმდიდრესი ტრადიციები.

ამიტომ გასამზავრებელ სამზადისს ჩვენი კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა. რამდენიმე კვირაში კოლექცია მზად გვქონდა. მასში აისახა თანამედროვე საერთაშორისო მოდის ყველა სიახლე და, რაც ასევე არსებითია, ქართული ეროვნული ტანსაცმლისთვის დამახასიათებელი სტილი და ელემენტები. რამდენიმე მოდელში ჩვენმა მხატვარმა მოდელიორებმა ესპანური კოსტიუმის მოტივებიც გამოიყენეს.

საბჭოთა კავშირი ბარსელონის ბაზრობაში მეთექვსმეტედ მონაწილეობდა, საქართველოს რესპუბლიკა კი პირველად იყო დამოუკიდებელი ექსპოზიციით მიწვეული.

ჩვენი რესპუბლიკის პავილიონს უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა. გემოვნებით ტაფორმებული სტენდები შთამბეჭდავად ასახავდნენ ჩვენს ქვეყნის ბუნებასა და ბალნეოლოგიურ ბაზებს, ბაზრობის, მეცნიერების, კულტურისა და განათლების დარგში.

ქართული მოდის დემონსტრაცია დღეში ორჯერ იმართებოდა და ნიადაგ მაყურებელთა აღტაცებული ოვაციის თანხლებით მიმდინარეობდა. მასზე მრავალი სახოტბო სიტყვა ითქვა, მშვენიერი რეცენზიები და ფოტოსურათები დაიბეჭდა პრესაში. მოდების დემონსტრაციას ორი გადაცემა მიუძღვნა ტელევიზიამ.

განსაკუთრებით სასიამოვნოა იმისი აღნიშვნა, რომ ჩვენი წლევანდელი კოლექცია მთლიანად სამამულო წარმოების ქსოვილებისაგან იყო შექმნილი, მისი უდიდესი ნაწილი კი ჩვენს რესპუბლიკაშია დამზადებული. მი-დურად და ელეგანტურად გამოიყურებოდა ქუთაისური აბრეშუმის, მაუდ-კამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ და ადგილობრივი წარმოების ტრიკოტაჟის ქსოვილებისაგან შეკერილი საგარეო და საღამოს ტანსაცმლის მოდელები.

ბარსელონის ბაზრობაზე მოპოვებულმა გამარჯვებამ, მართლაც რომ, ფრთა შეასხა ჩვენს შემოქმედებითს კოლექტივს. სასიხარულოა, რომ ჩვენმა რესპუბლიკურმა ცენტრმა კიდევ ერთხელ ცხადყო თავისი შემოქმედებითი პოტენციალი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ქვეყნის — ბაზრობის ერთ-ერთი საინტერესო და აქტიური მონაწილის წარმატებაში.

გ. ბერაძე,
მოდისა და ჩაცმის კულტურის რესპუბლიკური ცენტრის დირექტორი.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ცისფერ ეკრანზე

ორშაბათი, 20 ივლისი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა (მ.). 9.35 — მოამბე. 10.10 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციხკარა“. ქართული მხატვრული ფილმი „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“. 11.40 — საინფორმაციო გამოშვება. 17.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 17.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.20 — მათემატიკის ტელეეკურსი. 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.05 — განცხადებები. 18.10 — მოსწავლეთათვის. „ზზა მშვენიერებისაკენ“. 19.00 — „ყაირათიანად ვხარჯოთ წყალი“. 19.30 — დავაჩქარით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. „კოსმოსური ინფორმაცია“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — კინოჟურნალი. 20.45 — ქართული მხატვრული ფილმი „თვალი პატიოსანი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ჩვენი პრემიერა“. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საიდუმლო“ (საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები). 23.20 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „დროთა ეკრანი“ (გადაცემა მეორე).

მეორე პროგრამა. 17.35 — მხატვრული ფილმი „დასვენება შაბათიდან ორშაბათამდე“. 19.00 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვიტალი ბიანკი“. 19.55 — განცხადებები. 20.00 — მოამბე. 20.35 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „ბარიკადებზე იბრძოდა ქალი“.

ხუთშაბათი, 23 ივლისი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა (მ.). 9.35 — მოამბე. 10.10 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციხკარა“. მხატვრული ფილმი „ნუკის თავგადასავალი“. 11.30 — საინფორმაციო გამოშვება. 17.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 17.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.20 — ბიტურენტთათვის. ბიოლოგია. 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.15 — განცხადებები. 18.20 — მოსწავლეთათვის. „უფროსების მხარდამხარ“. 18.40 — რეკლამა. 18.45 — „ჩვენი სტუმრები“. 19.15 — წერილის დღე. 19.20 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მზე ჩემს მამულში“ (ზუდდიდის რაიონი). გადაცემა მეორე. 19.40 — წერილის დღე. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — წერილის დღე. 20.40 — სტუდია „დიალოგი“. 21.25 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 21.50 — წერილის დღე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“. მხატვრული ფილმი „კოლექტიური სვლა თეატრში“.

მეორე პროგრამა. 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თანაავტორები“. 19.00 — განცხადებები. 19.05 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი კუიბიშევი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — „მუსიკალური ფოსტა“.

პარასკევი, 24 ივლისი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა (მ.). 9.35 — მოამბე. 10.10 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციხკარა“. მხატვრული ფილმი „ბალადა სპორტზე“. 11.40 — საინფორმაციო გამოშვება. 17.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 17.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.20 — ბიტურენტთათვის. ბიოლოგია. 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.15 — განცხადებები. 18.20 — მოსწავლეთათვის. „უფროსების მხარდამხარ“. 18.40 — „ბალეტის საღამო“. 18.20 — ახალი წიგნები. 18.50 — „ბავშვი — ყველაზე ძვირფასი ადამიანი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — ახალგაზრდობისათვის. „შუქნიშანი“. 20.50 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“. გერმანული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ალიბი უზრუნველყოფილი იქნება“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე. 22.45 — „გასტროლების შემდეგ“.

მეორე პროგრამა. 17.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები „ადამიანი და ბუნება“ და „ვაიგანი“. 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.55 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მუშაითი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება „სამიჯნურო“. მეორე გადაცემა.

შაბათი, 25 ივლისი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა (მ.). 9.35 — მოამბე. 10.10 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციხკარა“. მულტიპლიკაციური ფილმები: „ზღაპარი იწყება“, „გოგონა ლა ჭრელა“. 10.50 — „ხალხური სიმღერის ოსტატები“. კ. პაჭკორია. 11.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.35 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მეგობრობის ფესტივალი“ (სოხუმის ტელევიზიის პროგრამა). 13.00 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — თ. სამსონაძე. 13.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.40 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“. 14.20 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეეკურსი. 14.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.55 — ხალხური შემოქმედება. „საერთო საზრუნავი“ (ბოლნისის სახალხო თეატრი). 15.30 — საინფორმაციო გამოშვება. 15.40 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.45 — მოსწავლეთათვის. „გაუმარჯოს მზიანეთს“. საქართველოს პიონერთა XIII შეკრება). 18.10 — „ჩვენი სოფელი“. 19.00 — შემეცნებით-გართობები პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 19.40 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მზე ჩემს მამულში“. (წალენჯიხის რაიონი). 20.00 — მოამბე. 20.35 — „მწერალი და ცხოვრება“. 21.30 — თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული პროგრამა.

კვირა, 26 ივლისი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა (მ.). 9.35 — მოამბე. 10.10 — „დილა მშვიდობისა!“. საკვირაო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — სამეურნეო მექანიზმი: სიახლენი, პრობლემები. 11.30 — კინოფაფინა. 12.00 — საკვირაო გამოფენა — ლევან მხეიძე. 12.05 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ფოლკლორი“. 12.55 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.25 — საკვირაო გამოფენა — ლევან მხეიძე. 13.30 — მოსწავლეთათვის. „მუსიკის მოყვარულთა კლუბი“. 14.25 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების მეორე საკავშირო სატელევიზიო ფესტივალის დღიური. 14.55 — საკვირაო გამოფენა — ლევან მხეიძე. 15.00 — საესტრადო პანორამა. 15.50 — ვეფხტანკი. 16.20 — საკვირაო გამოფენა — ლევან მხეიძე. 16.30 — „ავტობიოგრაფიის ფრაგმენტები“ — კალე ბობოხიძე. 17.05 — ქალთა მსოფლიო კონგრესი. 17.35 — „დღეს სსრ კავშირის სამხედრო საზღვაო ფლოტის დღეა“ (მ.). 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „თბილისი კრასნოდარის მხარეში“. 18.40 — ზღაპრის გუდა. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მზე ჩემს მამულში“. 20.00 — მოამბე. 20.35 — სპორტული პროგრამა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „პოეზია“ — ნოდარ გურგენიძე. 23.05 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.).

მოსკოვი

18 ივლისი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.30 — ლირიკული კონცერტი. 10.05 — ანანასა. 10.35 — უკრაინა ეროვნულის კვარტეტი. 10.55 — უსაფრთხო მოძრაობა. 11.25 — ქალაქის მუსიკა. 12.00 შაბათი მშობლების დღეა. 13.30 — მულტფილმი. 13.40 — „ყველასა და თითოეულისათვის“. გასვლითი პროგრამა ბამზე. 14.10 — ფილმ-კონცერტი. 15.00 — ტელეჟურნალი „თანამეგობრობა“. 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — „ციხარტველა“. ერაყული სიმღერები და ცეკვები. 16.20 — მხატვრული ფილმი „მიზ